საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 17 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **500 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **20 მანეთი,** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **20 მანეთი** მეოთხე გვერდზე **15 მანეთი,** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) **500 მანეთი.** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება **ერთობის ქ. № 4,** შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 288 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 288

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო „არფასტო“

რუსთაველის პრ. № 23.

15, 16 და 18 დეკემბერს ნაჩვენები იქნება რუსული კინემატოგრაფის ახალი სურათი

სურათი გადაღებულია ყირიმის მშვენიერ ადგილებში მთავარ როლებში **პ. სტრიჟევსკი** და **ლ. რანცინი.** დადგმა **ა. გრომოვისა.**

სამი დღის ცხოვრება

მხატვრული დრამა 4 დიდ ნაწილად.

დასაწყისი საღამოს 5 საათ. მოწაფეებს 1-ლ სეანსზე ბილეთები მიეცემათ შეღავათიან ფასებში.

დღეს მხოლოდ ჩვენს ეკრანზე ისტორიული სურათის ერთად ერთი ეკზემპლიარი

გადაღებული კინო-ატელიე „ცეკავშირის“ მიერ გ. უ. გოგიტიძეს ხელმ.

სახალხო გვარდიის მესამე წელი (ტფილისი 12 დეკემბერი 1920 წელი)

1) სახალხო გვარდია, საქართველოს დემოკრატიის ბურჯი მთავარი შტაბის თავმჯდომარის **ვალიკო ჯუღელის** მეთაურობით. 2) ქართველი ხალხის მეთაური **ნ. ნ. ჟორდანია** ღებულობს გვარდიისა და ჯარის ალლუმს, 3) ახალგაზრდა იუნკრების, საქართველოს დემოკრატიული ჯარის მომავალი წინამძღოლთა მწყობრი მსვლელობა მთავრობის ტრიბუნასა და უცხო სახელმწიფოთა მისიების წინაშე. 4) ზღვა ხალხი უმართავს ოვაციას თავისუფლებისა და მშვიდობიანობის დამცველთ.

(4018—1—1)

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი ძმები: მელიტონ, გაბრიელ, ზედია და არსენ; დები: ლიზა, ფაცია და თამრაა. რძლები: ნინო და ქეთო: ძმისშვილები: ვანიჩკა, ფილიპე, ლუბა და ჟულიეტა ყაჭიეშვილები; სიძეები: მაკარი ჯიბუტი, ნიკიფორ ჭანუყვაძე და სოლომონ კაკურია—აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ ორშაბათს, 13 დეკემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სურამის ქალაქის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და უსაყვარლესი

იოსებ ფილიპეს ძე ყაჭიეშვილი

სურამის საავადმყოფოდან გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 15 დეკემბერს—საღამოს 4 საათზე; დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 დეკემბერს ს. ამაღლებაში (გურია) ახალ სასაფლაოზე დილის 10 საათ.

(3985—4—3)

ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 13 დეკემბერს გარდაიცვალა სურამის საავადმყოფოში ჩვენი ძვირი ამხანაგი ძვირფასი

იოსებ ფილიპეს ძე ყაჭიეშვილი

გამოსვენება მოხდება სურამიდან 15 დეკემბერს. ცხედარს წაასვენებენ გურიაში 16 დეკემბერს. (ნ. 3—2)

ღრმად დამწუხრებული კესარია ანჩაბაძის ასული ჯაიანისა, არსენ (ბურდი) გრიგოლის ძე ჯაიანი და მეუღლე მისი ნადეჟდა ილარიონის ასული ჩიქოვანი. ქალიშვილი მიცვალებულისა ელისაბედ (ჰუჰუ) გრიგოლის ასული და მეუღლე მისი კოკი გრიშას ძე დადიანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს 7 დეკემბერს გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე და უკანასკნელთა მამა

გრიგოლ ჯაიანი

რომლის დაკრძალვაა შაბათს, 18 დეკემბერს. დაკრძალვა მოხდება ს. ხორგაში სავდარიულო ეკლესიაში. (4022—1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ეკა, დები: ფიდინე, ფედოსი, მაკრინე, ბარბალე, რძალი ელენე და ძმა გიორგი, სიძე ფარნაოზ პეკრიაშვილი, დისშვილები; თეკლე, ლუკა, კოლია, თათრახან და კალიოფა წერომძეები, ივლიტა, მინადორა, მაგდანე, მარია ფოკა და მოსე პეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას მათი ძვირფასი

მეტია გიჟიას ასული მარშანიშვილის

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია შაბათს 18 დეკემბერს ს. სამების ეკლესიის გალავანში. 4028 2—1)

გულდამწვარი მშობელნი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, მაკრინე პავლეს ასული და და ძმანი გიორგი, მარგარიტა და ელენა გარსევანიშვილები აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ უდროოთ გარდაცვალებას, გორის ვაჟთა გიმნაზიის პირველი კლასის მოწაფის

პეტრესი

დაკრძალვა შაბათს 18 დეკემბერს ქ. გორში.

(4023 1—1)

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი

„ცისარტყელა“

გამოვა 1921 წლის განმავლობაშიც (წელიწადი მე-3-მე).

ჟურნალში არის შემდეგი განყოფილებანი: პოეზია, ბელეტრისტიკა, დრამა, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: ს. აბაშელი, ვარლამ რუხაძე, ობოლი მუზა, გ. ქუჩიშვილი, დუდუ მეგრელი, გელა, იასამანი, ხარიტონ ვარდოშვილი, მეჩონგურე, და სხვ. ბელეტრისტები: შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი, გ. ბარნოვი, ლეო ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, მალაქიაშვილი, არჩილ რუხაძე, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, დ. თურდოსპირელი, კ. გამსახურდია, ი. მჭედლიშვილი, დემნა შენგელაია, ილია რუხაძე, რემონიძე და სხვა. დრამატურგები: ტრიფონ რამიშვილი, გერგელელი, შიუკაშვილი, ირეთელი. კრიტიკოსები: ვ. გომართელი, სეით დევდარიანი, ლეო ნათაძე, აკ. პაპავა, ვარ. ხუროძე და სხვ.

(ნ. 3—2)

საქართველოს მასწავლებელთა კოოპერატივი

„უნივერსალი“

უკვე გაიხსნა და შეუდგა აუცილებელ საჭირო საგნების ყიდვას. გამგეობა სთხოვს ყველა ამხანაგებს დაჩქარებით შემოიტანონ საწევრო გადასახადი 500 მანეთი. ამასთანავე უმორჩილესად ვთხოვთ თბილისის სასწავლებელთა გამგეობას და საშუალო სასწავლებლების გამგეობებს საწევრო ფულებთან ერთად გამოგზავნონ სასწავლებელთა გამგეობის და ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ შემოწმებული სიებიც. იმ მასწავლებელთა სიები კი, რომელნიც ვერ სარგებლობენ მუშათა მაგიდის სანოვაგით შედგენილი უნდა იქმნენ ორ ცალად, როგორც ამას თხოულობს მუშათა მაგიდა და გადმოეგზავნოს გამგეობას.

მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5 ქართული კლუბის შესავალი მეორე სართული. 12 საათ. 4 საათამდის. გამგეობა.

(4022—1—1)

კვირას, დეკემბრის 19-ს შუადღის 12 საათზე სახელმწიფო დრამის თეატრის სამუ'იკო დარბაზში

კოწია გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას

თანამედროვე გერმანიის პოლიტიკისა და კულტურის პრობლემები.

ბილეთები თეატრის კასაში. დარბაზი გამთბარი იქნება.

(4027—2—1)

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 17 დეკემბერს

სიმფონიური კონცერტი

ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწილეობით. შაბათს, 18 დეკემბერს მუშებისათვის სიმფონიური კონცერტი ბელოუსოვის და ბოროვსკის მონაწილეობით. დასაწყისი 8 საათზე.

(ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

შაბათს, დეკემბრის 18-ს

მეორედ მხიარული კომედია

ალლუმი

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კვირას, დეკემბრის 19-ს

მესამედ

სიცრუე

სამშაბათს, დეკემბრის 21-ს

მეოთხედ

ბერდო-ზმანია

ბილეთები კასაში. მზადდება: „ანტიგონა“, „მარიამ მაგდალინელი“.

(ნ. 1—1)

ვინ არღვევს კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას?

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობასთან არსებულმა ბეჭვდითი ბიურომ გუშინ გამოაქვეყნა შემდეგი განსაცვიფრებელი ცნობა:

მოსკოვის მთავრობამ დაადგინა შეწყდეს ბაქოდან საქართველოში ნავთის გზავნა, ვინაიდან უკანასკნელმა დაარღვია მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომელიც საბჭოთა რუსეთთან და აზერბეიჯანთან დადებული ხელშეკრულობებით დამყარდა. რაში გამოიხატა ეს?

ამავე ცნობის მიხედვით საქართველოს დაუკავებია სომხეთში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელ ლეგრანის მატარებელი და აგრეთვე შეუჩერებია სომხეთში სატრანზიტო საქონლის გადაგზავნა.

ჩვენ ხელთა გვაქვს უტყუარი საბუთები, რომლითაც არც ერთი ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება.

საქართველოს მთავრობას არ დაუჭერია ლეგრანის მატარებელი, მას არ შეუჩერებია სომხეთში სატრანზიტო საქონლის გზავნა. არაფერს ამის მსგავსს ადგილი არ ქონებია. პირიქით, ჩვენმა მთავრობამ 7 დეკემბრის თარიღით განუცხადა სომხეთის ახალ მთავრობას, რომ ის ძალაში ტოვებს ყველა იმ ხელშეკრულებებს, რომელიც ძველმა მთავრობამ დასდო საქართველოსთან და მაშასადამე ძალაში დარჩა აგრეთვე სატრანზიტო ხელშეკრულებაც.

მაშ, საიდან წარმოსდგა ასეთი უსაფუძვლო ბრალდება?

უნდა ვიცოდეთ, რომ ზემოხსენებულ განცხადებას წინ უძღოდა ჩვენი წარმომადგენლის სომხეთში გენერალ ყარალაშვილის და მისი მდივნის შინაური დაპატიმრება, ვითომდა ლეგრანის მატარებლის დაჭერის საპასუხოთ და აგრეთვე სომხეთის ახალი მთავრობის პროტესტი ვითომდა სატრანზიტო საქონლის შეჩერების გამო.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ, სანამ ხსენებული ცნობა გამოქვეყნდებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოში მყოფ რუსეთის წარმომადგენლისაგან ნოტა მიუღია, რომელშიაც ორ უკვე მოყვანილ ბრალდებას კიდევ ემატება ორი სხვა ბრალდება, სახელდობრ კომუნისტების დევნა საქართველოში, რომელიც თითქო დარღვევა იყოს ხელშეკრულობის და საქართველოს ნავთსადგურებში თავშეფარებულ რუსეთის გემების შესახებ საკითხის გადაჭრის გაჭიანურება.

უკანასკნელი საკითხი ფაქტიურათ გადაჭრილი ყოფილა, ვინაიდან ჩვენი მთავრობა და რუსეთის წარმომადგენლობა შერეულ კომისიაში ამის შესახებ შეთანხმებულან, ხოლო რაც შეეხება კომუნისტების დატუსაღებას, ეს ხელშეკრულების დარღვევათ ვერას შემთხვევაში ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ჩვენში იდევნება არა კომუნისტების ლეგალური, საჯარო მუშაობა, რომელსაც ხელშეკრულობა გულისხმობს, არამედ ფარული მუშაობა რესპუბლიკის დასანგრევათ და აჯანყებისათვის მზადება; ასეთი მუშაობას ხელშეკრულობის ძალით ადგილი არ უნდა ქონდეს არც საქართველოში და არც მის გარეთ. ცხადია, ხელშეკრულობას არღვევენ ბოლშევიკები, რომლებიც რესპუბლიკის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ამნაირათ, არც ერთ ბრალდებას არავითარი საფუძველი არ აქვს, ისინი სინამდვილეში არ არსებობენ.

ჩვენ შევჩერდებით მაინც მოსკოვის მთავრობის მიერ წამოყენებულ და ოფიციალურათ გამოქვეყნებულ ბრალდებებზე.

ყველაფრიდან სჩანს, რომ ეს ბრალდებები შეთხზულია აქ და მოსკოვის მთავრობა ემყარება ყალბ ინფორმაციას.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მოსკოვის მთავრობა ობიექტიურათ დაინტერესებული იყოს საქართველოსთან საქმის გართულებაში. პირიქით, სალათ გაგებული ინტერესები მოითხოვს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა არსებობდეს.

სულ სხვაა ის ელემენტები, რომლებიც აქ არიან, ან ამ ჟამათ საბჭოთა სომხეთში ბატონობენ. ჩვენ ვიცით მათი მუდმივი ზრახვა: მათ სურთ საქართველოს რუსეთი წაკიდონ და სხვისი დახმარებით ჩვენში ძალა-უფლება ხელთ იგდონ. ეს ხალხი ჩვენი პირდაპირი მოწინააღმდეგენი არიან, ჩვენგან არა ერთი და ორი დამარცხება უგემებიათ და ამიტომ პსიხოლოგიურათ და პარტიულათ მათთვის მიუღებელია რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობა და კეთილ მეზობლობა. ასეთი ხალხი ობიექტივობას ვერ დაიცავს და სიმართლეზე ვერ ააშენებს თავის გამარჯვებას. მარა, თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ გვიკვირს, რათ მოხდა ის, რომ მოსკოვის მთავრობა ცალმხრივი ინფორმაციით არღვევს ხელშეკრულებას და აქეთ გვედავება?

სანამ ასეთ ნაბიჯს გადადგამდა, რათ არ შეიკითხა ჩვენს მთავრობას ან ჩვენს წარმომადგენელს მოსკოვში?

რათ არ გაიგო საქმის ნამდვილი ვითარება?

რათ იკმარა იმ ხალხის ინფორმაცია, რომელიც ვერასოდეს ვერ იქნება ობიექტიური, მიუდგომელი?

თუ მოსკოვის მთავრობა მართლა აფასებს მეგობრობას და კეთილმეზობლობას, თუ ის თითონ არ ეძებს მისი დარღვევის საბაბს, მაშინ ყოვლად შეუძლებელია დაემყაროს ისეთ ცნობებს, რომელიც მას დღეს ხელთ აქვს; ყოვლადშეუძლებელი და პირდაპირ წარმოუდგენელია ასე ხელაღებით, უცბათ ეკონომიური ხელშეკრულობის ცალმხრივი დარღვევა. ვამბობთ, ცალმხრივი, ვინაიდან საქართველოს არც ერთი მუხლი, არც ერთი ასო ამ ხელშეკრულობისა და დაურღვევია,

მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები შექმნილი ყალბი დიპლომატიური მდგომარეობის გამოსარკვევათ. თუ მოსკოვის მთავრობა მართლა შეცდომაშია შეყვანილი ადგილობრივი და სომხეთის ბოლშევიკების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მაშინ საჭიროა ასეთი ყალბი მდგომარეობის გამოსარკვევათ გამოინახოს საშუალებები და ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს ის პირობები, რომელიც დღეს ჩვენში ქმნის ასეთ სახიფათო გაუგებრობას: საბჭოთა რუსეთის ადგილობრივი მისია გავსებულია ადგილობრივი ბოლშევიკებით, უმეტეს ნაწილათ საქართველოს ქვეშევრდომებით, რომელთა მთელი მუშაობა მიმართულია არა რუსეთ-საქართველოს შორის კეთილ მეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისა, არამედ ასეთი ურთიერთობის დარღვევისაკენ. თუ მოსკოვს სურს დადებული ხელშეკრულობის დაცვა, მაშინ ამას ბოლო უნდა მოეღოს.

საქართველოს არ დაურღვევია არც საზავო და არც სავაჭრო ხელშეკრულობა. ის პირნათლად და სისწორით ასრულებდა იმ მოვალეობას, რომელიც ამ ხელშეკრულობებიდან გამომდინარეობდა. მარა, სამწუხაროთ, ჩვენს ასეთსავე მოქმედებას არ ვხედავდით მეორე მხრიდან. უკანასკნელის მიერ ხელშეკრულობა ფაქტიურათ არა ერთხელ დარღვეულა. მოვიგონოთ ზაქათალის ოლქის ისტორია, ნეიტრალური ზონის (წითელ ხიდთან) საკითხი, აქსტაფის ხელშეკრულობის აუსრულებლობა და სხვა.

რუსეთს არ აქვს უფლება საქართველოს უკიჟინოს მისდამი მტრული დამოკიდებულობა, დადებულ ხელშეკრულობისადმი უპატივცემულობა. ჩვენს ქვეყანას საამისო საბაბი მისთვის არ მიუცია.

და თუ მიუხედავად ამისა, აქეთ გვედავებიან, მიზეზზე არიან და გვაბრალებენ იმას, რაც არ ჩაგვიდენია. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რა მიზნით ხდება ყოველივე ეს?

ჩვენ გვინდა გამოირკვეს, რა ნაირი ურთი ერთობა არსებობს ჩვენსა და საბჭოთა რუსეთს შორის?

მორიგი იერიშები

II

მთავრობის განცხადების გამო კამათი, უეჭველია, საჭირო იყო. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობდით, რომ როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ოპოზიცია თავის გამოლაშქრების ცენტრათ აირჩევდა მთავრობის საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ პოლიტიკას. ჩვენ ვიცით, რომ ეს პოლიტიკა არ მოსწონთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, ამიტომ ველოდით, რომ ისინი თავის საკუთარი პოლიტიკის გამოელვანებით და დაპირდაპირებით საშუალებას მისცემდა ჩვენს ხალხს გარკვეულიყო თუ რომელი პოლიტიკა სჯობია მისთვის.

სამწუხაროთ ეს არ მოხდა. ოპოზიციამ იერიში მიიტანა ცალკე სამინისტროებზე და შეეცადა მის გაწბილებას არა პოლიტიკის ნიადაგზე, არამედ იმ ჭორების მიხედვით, რომელიც ასე ბლომათ ვრცელდება დაინტერესებული პირების მიერ. ამ ცალკე სამინისტროებში კი, პირველ ყოვლისა, ნიშანში ამოიღეს მომარაგების სამინისტრო.

მომარაგების სამინისტროს დიდი ხანია თავს ესხმიან. მის შესახებ მთელი კვირაობით ამხედრებულია ჩვენი მოწინააღმდეგე გაზეთები, რომლის სათავეში დგას „საქართველო“.

რით დაიმსახურა ამ სამინისტრომ ასეთი გულისწყრომა? ამის მიზეზი არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ პირადი, სუბიექტიური შეხედულებით აიხსნას. მიზეზი უფრო ღრმაა და რომ ის უფრო ნათელი იქნას, საჭიროა გავიხსენოთ ის კამპანია, რომელიც მიმართული იყო მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი სამინისტრო არ ეჯავრებოდათ ჩვენს მემარჯვენე პარტიებს ისე, როგორც ეს სამინისტრო. მემარჯვენე პარტია ჩვენში—ეს არის ნაციონალ-დემოკრატია. ამ პარტიაში, როგორც ვიცით, თავდაპირველათ, სჭარბობდენ ფეოდალური ინტერესების მატარებელი ელემენტები. ეს ელემენტები ვერ შეურიგდებოდენ, რასაკვირველია, აგრარული რეფორმის გატარებას, ვერ მოისმენდენ გულდამშვიდებით ისეთ ზომებს, რომელიც მიმართული იყო მიწების ჩამორთმევისაკენ და რადგან ამ რეფორმას ხელმძღვანელობდა მიწათმოქმედების სამინისტრო, მთელი მათი რისხვაც ამ სამინისტროს და მის ხელმძღვანელს დაატყდებოდა თავს. მართალია, ამ გამოლაშქრებას ხსნიდენ სამინისტროს ზოგიერთ ნაკლით პრაქტიკული მუშაობის სფეროში, მარა ნამდვილათ კი ეს იყო უკანასკნელი ამოძახილი ფეოდალიზმისა. და არც გასაკვირია თუ ის ვერც შეურიგდებოდა ასე ადვილათ თავის უსაქმური ცხოვრების უპთავრეს საარსებო სახსარს. მარა, ამ ბრძოლის მოგება აღემატებოდა ფეოდალიზმის დამცველთა ძალას და ამ ბრძოლის პროცესში ნაციონალ-დემოკრატიას განშორდა მებრძოლი ფეოდალიზმის მეხაირახტრენი და ბ ნ ვეშაპელის მეთაურობით მორცხვათ უკანა რიგში დაჯდა.

ამ ფეოდალურ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მემარცხენე ფრაქციებიც, მარა მათი ბრძოლა სწარმოებდა არა მიწების ჩამორთმევის ნიადაგზე, არამედ, როგორც ჩამორთმეული, ისე საერთოდ მიწების საკუთრების ახალი ფორმების შესაქმნელათ. და რადგან სამინისტრო, თანახმად მიღებული კანონებისა, უარყოფდა ერთსაც და მეორესაც—მემარცხენე პარტიებიც მის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერიენ და მით

დღეს

ლიონის ცნობით მეფე კონსტანტინე ოჯახობით ვენეციიდან საბერძნეთში გაემგზავრა.

(საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისაგან)

საგარეო საქმეთა სამინისტრის რადიო-დეპეშა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელმა კ. საბახტარიშვილმა უკანასკნელი ამბების გამო საქართველოს წარმომადგენლებს მოსკოვში, ბაქოში და ერევანში დაუგზავნა შემდეგი რადიო-დეპეშა, რომლის ასლიც გადაეცა საქართველოს წარმომადგენლებს პარიზში, ლონდონში, რომში, ბერლინში, კონსტანტინოპოლში, ვარშავაში და აგრეთვე ყველა ადგილობრივ უცხოელ მისიებს:

უკანასკნელ დღეებში ადგილი აქვთ ისეთ ფაქტებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ არა სასურველი გართულება ჩვენსა და ჩვენს მეზობლებს შორის დამყარებულ ურთიერთობაში.

რ. ს. ფ. ს. რ. უფლება მოსილმა წარმომადგენელმა შეგვატყობინა ჩვენ, რომ რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის განკარგულებით შეჩერებულია აზერბეიჯანიდან ნავთის პროდუქტების საქართველოში გატანა; ამასთანავე ა. ს. ს. რ—კის ფარგლებში შეჩერებულია ჩვენი სამარშრუტო მატარებლები და დატუსაღებულნი არიან ჩვენი რკინის გზის აგენტები. ასეთი განკარგულება წარმოადგენს დარღვევას და ფაქტიურ გაუქმებას იმ სატრანზიტო ხელშეკრულებისა, რომელიც მოკლე ხნის წინად დაიდო ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრით რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. შორის. ჩვენის მხრივ კი არც ეს ან არც სხვა ხელშეკრულება არ დარღვეულა და არ იყო მიცემული არავითარი საბაბი, რომელსაც შეეძლო ასეთი ზომის გამოწვევა. ამავე დროს რესპუბლიკის საზღვრებთან შესამჩნევი გახდა საბჭოთა ჯარების განსაკუთრებული შეჯგუფება და ნეიტრალური ზონის ფარგლებში, ფოილოს ხიდის რაიონში კეთდება ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო ხასიათის სიმაგრეები. ასეთი ზომების მიღება არის პირდაპირი დარღვევა 12 ივლისის თარიღით დადებულ აქტაფის ხელშეკრულებისა, რომლის ძალითაც ხსენებულ ზონის ფარგლებში არ უნდა იმყოფებოდნენ რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. შეიარაღებული ძალები. ამას გარდა, ჩვენს ტერიტორიაზე გზების დასაზვერად, ბორჩალოს მაზრაში სოფ. არჩიკთან გამოჩნდა საბჭოთა ყაზახთა ჯარების „რაზიეზდი“; იმავე დღეს მეორე ცხენოსანმა „რაზიეზდმა“ მოახდინა იმავე მაზრის სოფ. კერპილზე თავდასხმა, გაანიარაღა და გაძარცვა მთელი სოფელი. ადგილი აქვს საბჭოთა ჯარების კონცენტრაციას აგრეთვე ზაქათალის ოლქის ფარგლებშიც, რაც წარმოადგენს მოსკოვის ხელშეკრულების 12 მაისის დამატებითი შეთანხმების და აგრეთვე აქტაფის ხელშეკრულების დარღვევას, რომელთა ძალითაც ორივე მხარემ სავალდებულოთ გაიხადეს არ გაეძლიერებინათ ამ ოლქში მყოფი თავისი ჯარები და არ შეეყვანათ შიგ ახალი ნაწილები. დაბოლოს, სომხეთის საბჭოთა მთავრობამ ბინაზე დაატუსაღა ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი ერივანში—გენ. ყარალაშვილი და მისი მდივანი.

რუსეთსა და მასთან მოკავშირე აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობების ყველა ამ მოქმედებებისაგან, რომლებსაც აქვთ ადგილი იმ დროს, როდესაც ჩვენი მხრივ არამც თუ არ იყო მიცემული რაიმე საბაბი, არამედ,—პირიქით, როგორც ეს იყო აღნიშნული ჩვენი მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში 7 დეკემბერს დამფუძნებელ კრებაში, მიღებული იყო ყველა ზომები ჩვენ მეზობლებთან რაც შეიძლება უფრო მჭიდრო კავშირის მისაღწევათ. შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს აგრესიულ ხასიათის მზადებებთან, რომლებსაც მიზნათ აქვთ საქართველოზე თავდასხმის მოხდენა.

ვადასტურებ რა კიდევ ერთხელ, რომ საქართველო ძალაში სტოვებს, როგორც სატრანზიტო, ისე ყველა დანარჩენ მის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს, და რომ ის წინანდებურათ მტკიცედ ადგია კეთილ მეზობლური ურთიერთობათა დაცვის და ყველა სადაო საკითხების შეთანხმების გზით გადაჭრის პრინციპს—ამით გავალებთ თქვენ განუცხადოთ იმ მთავრობას, რომელთანაც თქვენა ხართ მივლინებული, სასტიკი პროტესტი ამ მოქმედებათა წინააღმდეგ და გადასდგათ ენერგიული ნაბიჯები მათი დაუყოვნებლივ სალიკვიდაციოთ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერი კ. **საბახტარიშვილი.**

12 დეკემბერი 1920 წ.

ხელი შეუწყვეს ფეოდალიზმის უკანასკნელ გამოლაშქრებას.

ამრიგათ მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინააღმდეგ გალაშქრება, ეს იყო გალაშქრება არა პიროვნების წინააღმდეგ, არამედ ეს იყო გამოლაშქრება, უკანასკნელი ამოძახილი ფეოდალიზმისა. ამ ბრძოლაში ისინი უნდა დამარცხებულიყვნენ და დამარცხდნენ კიდეც. სამინისტრომ თითქმის დაასრულა უმთავრესი მუშაობა და აი მის წინააღმდეგ ბრძოლაც მიყუჩდა. ეხლა ჯერი მიდგა მომარაგების სამინისტროზე და ამ ბრძოლის ინიციატივა ხელთ აიღო ნაციონალ-დემოკრატიამ.

რათ იბრძვიან და რა იწვევს ამ სამინისტროს წინააღმდეგ ასეთ გააფთრებულ ბრძოლას? **განი.**

ლეგალური აგიტაცია თუ აჯანყებისადმი მოწოდება?

ეს რამდენიმე დღეა ბოლშევიკური გაზეთები ბეჭდავენ მოწოდებებს აჯანყების გამოსაწვევათ. სხვა კვალიფიკაცია ვერ მიეცემა იმას, რასაც ისინი სწერენ. ეს კალმის ყაჩაღები გაურბიან წაყენებულ ბრალდებებზე პასუხის გებას, ფაქტების შესახებ ყურს იყრუებენ, რომ აჯანყებას აწყობენ აქ—ამაზე სდუმან და ყვირიან მხოლოდ იმაზე, რომ კომუნისტებს ატუსაღებენ

ეს მუდამ ასეა; როცა ბოლშევიკები გამოსასვლელათ ემზადებიან, და როცა მათ გეგმას მთავრობა გაიგებს და შეებრძოლება, ატეხენ ყიჟინას მენშევიკების ვერაგობაზე და სხვა ასეთ საგნებზე.

ასე მოიქცენ ახლაც. გუშინდელ რუსულ ქართულ „კომუნისტებში“ დაბეჭდილია ვებერთელა მოწოდება სხვა და სხვა ორგანიზაციების ხელმოწერით, რომელიც არსებითად აჯანყებისადმი მოწოდებაა. არსებული წყობილების და მენშევიკების თავაშვებულ გინებით სავსეა წერილი.

რამ გააწიწმატა ასე კომუნისტები?

ნეტავი აჯანყების მოწყობაში ხელი ხომ არავინ შეუშალა მათ? რომელი დღე ქონდათ გამოსასვლელათ დანიშნული?

სწორუპოვარნო რაინდებო, შეიძლება ამაზე გვიპასუხოთ რამე?

თორემ რა შუაშია აქ სოციალიზმისა და მშრომელი ხალხის შეწუხება? სოციალიზმს თქვენ კარგა ხანია გამოემშვიდობეთ და რუსეთი ამერიკელ კაპიტალისტებს მიყიდეთ, მუშათა კლასი ფაქტიურათ მოსპეთ, მცირე ერთა უფლება და მოთხოვნილება ფეხ-ქვეშ გათელეთ, სადაც კი წითელ არმიელთა ჩექმა მისწვდა. აზერბეიჯანი დაანგრიეთ და გაძარცვეთ და ამის შემდეგ ფიქრობთ ქართველი მშრომელი ხალხი გადიბიროთ, ცხვრის ტყავში გახვეული მგლები კრავებათ მოეჩვენოთ?

ვინ გგონიათ თქვენ ქართველი მუშა ხალხი?

რათ ხართ ასეთი დაბალი წარმოდგენის მაზე?

სამი წელიწადია, რაც ქართველი დემოკრატია, ქართველი მუშა-ხალხი თქვენ გებრძვით და თქვენ მას ებრძვით. ებრძვით ყოველგვარი საშუალებით. ტყუილებით მოყდვით, სხვისი ხიშტებით. და რა უფლება გაქვთ თქვენ დღეს მას მიმართოთ. სჩანს არ გავს საქართველო აზერბეიჯანს ან ღონე მიხდილ სომხეთს! სჩანს საქართველოში არ შეიძლება ასე თავისუფლათ თარეში!

აგრეა არა, ბ. კომუნისტებო? ამაშია ალბათ საქმე!

თორემ თქვენ ძალიან დიდი თავისუფლება გაქვთ. ამ მხრივ ბედს ვერ დაემდურებით. არც ერთი მთავრობა არ მოგცემდათ თქვენ იმის ნებას, რასაც საქართველოს მთავრობა გაძლევთ. ის მხოლოდ ერთში გიშლით თქვენ ხელს: თავისუფლათ აჯანყების მოწყობას არ განებებთ!

აი, რაშია საქმე! **ი.**

პრესა

ჩვენებურ კომუნისტებს ვერ გასტეხავ რაც უნდა თვალდათვალ დაიჭიროთ ბოროტ მოქმედებაში, რაც უნდა ყველასათვის დღის სინათლესავით აშკარა იყოს მათ მიერ ჩადენილი საქციელი, ისინი მაინც გაიძახიან, არა, არ ჩაგვიდენიაო. ეს ერთი ხანია ისინი აცხადებენ, ჩვენ „მარტოოდა მხოლოდ ლეგალურს, აშკარა მუშაობას ვეწევითო“, მრავალი დოკუმენტებით ჩვენ მათ დავუმტკიცეთ, რომ ადგილობრივ კომუნისტებს მოწყობილი აქვთ არა-ლეგალური რევოლუციური მუშაობა საქართველოში გადატრიალების მოსაწყობათ, მიუხედავათ ამ დოკუმენტების გამოქვეყნებისა „კომუნისტის“ უკანასკნელ ნომერში მაინც კიდევ გაიძახიან:

> „არავითარ შეთქმულებას და აჯანყების მოწყობას ჩვენს პარტიაში ადგილი არა აქვს და მენშევიკებიც ვერავითარი გზით ვერ დაამტკიცებენ ამის წინააღმდეგს. აჯანყება-შეთქმულობის ბრალდება უცხვი ცილის წამებაა მენშევიკების მხრით“.

უეჭველია ასეთი განცხადება დამყარებულია იმ იმედზე, რომ მკითხველს დავიწყებული აქვს მრავალი ფაქტები, რომლებსაც თუნდაც ჩვენი გაზეთი ყოველ დღე აქვეყნებს. მაგრამ ვეკითხებით „კომუნისტს“: „შეთქმულობის და აჯანყების“ გარდა სხვა რა მიზნით სჭირდა მათი ამხანაგი იმ სამხედრო ცნობებს, რომელიც ამ დღეებში „ერთობის“ 278 ნომერში იყო გამოქვეყნებული? რათ დაგჭირდათ სამხედრო ჯაშუშების გაგზავნა ჩვენს ჯარის ნაწილებში? მშვიდობიანის მიზნით არა? ან თუნდაც გადაიკითხოთ კომუნისტების მოწოდება, რომელიც „კომუნისტის“ უკანასკნელ ნომერშია გამოქვეყნებული, სადაც მუშებს „მენშევიკური“ წყობილების წინააღმდეგ რევოლიუციისაკენ მოუწოდებენ, და სადაც „რევოლიუციური თხუნელაც“ კია ნახსენები. ამას არ სცნობთ „აჯანყებად“? სცნობთ კი, მაგრამ გამბედაობა გაკლიათ, რომ გამოტყდეთ. მაგრამ მრავალი თქვენი „საგმირო საქმეები“ თქვენს სიტყვებზე უკეთესად ღაღადებენ.

„კომუნისტი“ არ ცხრება და განაგრძობს:

> „ასეთივე უმსგავსი ბრალდებაა, ვითომ ჩვენ ვიყოთ საბჭოთა რუსეთის დაქირავებული და მოსყიდული აგენტები საქართველოს დამხობის მიზნით. ეს ბრალდება საჭიროებს ასეთ განზრახვის დამტკიცებას პირველ ყოვლისა საბჭოთა რუსეთის მიმართ, რომელსაც მენშევიკები ვერ შესძლებენ, მიუხედავათ მათი უტიფრობისა“.

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო კომუნისტების მიწერ-მოწერა, საიდანაც აშკარად სჩანდა, რომ მთელი მათი ორგანიზაცია და მუშაობა საქართველოში მოსკოვიდან მიღებულ მილიონებზე არის დაყრდნობილი. ეს იმდენათ უდავოა, რომ ამას დღეს თვით „კომუნისტიც“ კი ვეღარ უარჰყოფს, ის მხოლოდ ცდილობს თავის მკითხველებს აუხსნას ნამდვილი წყარო, საიდანაც ეს მილიონები მოდის: მილიონები მოგვდიოდა კომუნისტური პარტიიდანო, გაიძახიან ეს ხაფანგში გაბმული მელიები. მარქსის, ბებელის, ჟორესის და სხვა ავტორიტეტებსაც კი იმოწმებენ, რომ ამნაირ დახმარებაში სასირცხვო არაფერიაო.

> „მარქსის მიერ დაარსებული პირველი ინტერნაციონალი ყოველგვარ დახმარებას (როგორც მატერიალურ, ისე ზნეობრივს) უწევდა ყველა ქვეყნის მუშებს, მისი თაოსნობით და დახმარებით ტარდებოდა გაფიცვები სხვადასხვა ქვეყნებში. მისი დიდი როლი პარიზის კომუნის საქმეში ეჭვს გარეშეა. მართალია, ინტერნაციონალის ასეთი მოქმედება გარყვნილებათ და უზნეობათ მიაჩნდათ მის მტრებს, მაგრამ ესენი იყვნენ თვით გარყვნილი და გათახსირებულნი ამა ქვეყნის ძლიერნი; სოციალისტთა შორის ასეთი მაღალი „ზნეობისა“ დღემდის არავინ გამოჩენილა. დღეს ჩვენს მენშევიკებს სრული უფლება აქვთ დაგმონ ეს მოქმედება და თავისი „სოციალისტური“ წვლილი შეიტანონ მარქსის ინტერნაციონალის უზნეოთ გამოცხადებაში“.

კომუნისტებმა თითონაც კარგათ იციან, და მათზე უკეთესადაც იციან ჩვენმა მუშებმა რომ მთელი ის მილიონები, რომლითაც მათი პარტია ჩვენში არსებობს და რომლითაც იგი აჯანყებას უწყობს საქართველოს დემოკრატიას, მათ მოსდით **არა პარტიისაგან, არამედ სახელმწიფოსაგან**, საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოს ხაზინიდან. 120 მილიონი ხალხის სახელმწიფომ, რომ თავის უზარმაზარი ბიუჯეტიდან სრულიად უმნიშვნელო ნაწილიც გადასდოს, ყოველთვის შეუძლია 3 მილიონ მცხოვრებიან სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულობის და აჯანყების მოწყობას, თუნდაც ამ პატარა სახელმწიფოში მას არავითარი სიმპატიაც არ მოეპოვებოდეს. კომუნისტები ჩვენს დემოკრატიას სძულს, ეზიზღება, მაგრამ რუსეთის ხაზინიდან მოცემული ფულით მათი პარტია მაინც კიდევ ცოცხლობს. მხოლოდ ეს არის პარტია უცხო სახელმწიფოს პენსიონერებისა, პარტია უცხოთა აგენტებისა, სამშობლოს მოღალატეთა და მის დემოკრატიის გამყიდველთა. დემოკრატია ამ სამარცხვინო დღეს აშკარად კითხულობს ჩვენებური კომუნისტების შუბლზე და ვერავითარი მარქსის სახელის დამოწმებით ვერ შეიყვანს ჩვენს მუშებს შეცდომაში.

დამფუძნებელი კრება

14 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

სწარმოებს მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობაში მომხდარ ზოგიერთ ცვლილებების შესახებ.

ლ. შენგელაია (ს. რ.) აღნიშნავს იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდა მთავრობაში და ამბობს: მთავრობაში მომხდარი ცვლილება სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. ის ეხება მხოლოდ კაბინეტიდან ერთი მინისტრის გასვლას და ზოგიერთი სამინისტროების გადაჯგუფებას.

პირველი ცვლილება, როგორც მოგახსენეთ, ეხება მიწათ-მოქმედების მინისტრის წასვლას, მეორე ცვლილება კი მდგომარეობს იმაში, რომ გზათა სამინისტრო შეუერთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ეს ყოვლად მიუღებელია თუნდაც იმ მოსაზრებითაც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მეტად რთული და ბევრი საქმები აქვს დღევანდელ მომენტში.

მესამე ცვლილება ის არის, რომ ჩვენში დაარსდა მუდმივი თანამდებობა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილისა. ამ თანამდებობის დაარსების გამართლება არაფრით არ შეიძლება. არ შეიძლება ამის გამართლება იმ მოსაზრებითაც, რომელიც აქ ჟორდანიამ მოიყვანა—საქმიანობის მოსაზრება. მთავრობის თავმჯდომარეს ცალკე უწყება არ აბარია და მას ყოველთვის დარჩება იმდენი დრო, რომ მთავრობის თავმჯდომარის საქმეებს გაუძღვეს. ასე რომ საქმიანობის თვალსაზრისით ამ თანამდებობის გამართლება შეუძლებელია. ამის გამართლება შეიძლება მხოლოდ პარტიულ თვალსაზრისით, რომ ბ. ჟორდანიას მეტი დრო დარჩეს პარტიულ კოლექტივებში მოხსენებების საკითხავად. ასე რომ მთავრობაში მომხდარი ცვლილება, ვიმეორებ, სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი.

ჩვენ ჯერ კიდევ ნოემბრის პირველ რიცხვებში მოვითხოვეთ მთავრობის გადადგომა. ეს აქ ზოგიერთს კიდევაც გაუკვირდა, მაგრამ მასსას არ გაკვირვებია ეს (სიცილი). ხალხის ფართო წრეებში, რომ მთავრობას ნდობა არა აქვს, ეს ცხადია. აიღეთ თუნდა იძულებითი სესხი, რომლის საკითხი უკვე დაისვა მეორედ დამფუძნებელ კრებაში—კოლექტივებში. თუ ნდობა აქვს მთავრობას რა საჭიროა იძულებითი სესხის შემოღება, ისედაც მისცემენ სესხს, თუ ნდობა არა აქვს, მაშინ, ცხადია, იძულება საჭირო არის. ამიტომ არის რომ, ალაპარაკდენ იძულებით სესხზე.

ამ ნაირად რჩება ისევ ძველი მთავრობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ავალიანი კვლავ განაგრძობს ყალბი ბონების ბეჭდვას (ხმაურობა: ჟულელი: ეს პროვოკაციაა, ღალატს სჩადიხარ. კიდევ ხმაურობა. ისმის ხმები: „ძირს“).

თავმჯდომარე: დაწყნარდით ბატონებო, მე უცდი ორატორის მიერ წამოყენებულ ბრალდების დამტკიცებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ზომებს მივმართავ.

შენგელაია. დიახ, მე ვსთქვი, რომ ფინანსთა მინისტრი ბ. ავალიანი ალბათ განაგრძობს ყალბი ბონების ბეჭდვას (კვლავ ხმაურობა: ხმები: „ალბათ“ მაშინ არ გითქვამთ. შენგელაია ბრალდებას იმეორებს სიტყვა „ალბათ“ გამოკლებით. თავმჯდომარე კვლავ აწყნარებს კრებას. დეპუტატები დაჟინებით მოითხოვენ ადგილიდან საბუთების მოყვანას წამოყენებული ბრალდების დასამტკიცებლათ).

შენგელაია: მე ამის საბუთი მაქვს, ეს არის მცირე კომისიის გამოძიება. —ხმები: სად არის საბუთი, მოიტანეთ).

(ორატორს ესერების ფრაქციიდან გადასცემენ რაღაც ქაღალდებს).

შემდეგ,—განაგრძობს ორატორი,—ძველი მთავრობა რჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ განაგრძობს ბარბაროსული მეთოდებით წესიერების დამყარებას, ეს იმას მოასწავებს, რომ ჩვენში ჯოხი იბატონებს და კვლავ განმეორდება ლანჩხუთის ამბები. ეს იმას ნიშნავს, რომ ბ-ნი ერაძე კვლავ განაგრძობს ხალხისთვის ერთი გირვანქა ტალახის მიწოდებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მენშევიკების ცეკა კვლავ შეიძენს სტამბებს და წითელ სახლს. შემდეგ ორატორი ეხება საგარეო პოლიტიკას და ამბობს: არსად არ არის ისეთი საიდუმლო დიპლომატია, როგორც ჩვენში. თუ რა ხდება ჩვენში, მტრებმა იციან, ჩვენ კი არაფერი ვიცით. დასასრულ ორატორმა მოითხოვა მთავრობის გადადგომა და სთქვა: თუ გინდათ ნამდვილი მთავრობა გყავდეთ, დააყენეთ ნამდვილი სოციალისტები და არა ხამები (დიდი ხმაურობა, ისმის ხმები: „ძირს“. თავმჯდომარე ზარს რეკავს და ორატორს აფრთხილებს, რომ თუ კიდევ დაუშვა ასეთი გამოთქმები, მაშინ ის იძულებული იქნება მას სიტყვა წაართვას. ხმაურობა გრძელდება. ორატორი ჩამოდის ტრიბუნიდან).

სპ. კედია. მე არა მაქვს მიზნად ყველა მინისტრებს შევეხო, მე მხოლოდ ზოგიერთ მინისტრებს შევეხები. ავიღოთ ჯერ სურსათის საქმე. თქვენ იცით, რომ სურსათის საქმე პირველია. ამ დარგში მთავრობას არც წინეთ და არც ახლა არა აქვს სათანადო აპარატები. ამ საქმეს სათავეში უდგას ბ. ერაძე. თქვენ იცით, რომ ამ უწყებამ მონოპოლიები ცუდათ ჩაატარა. ავიღოთ თუნდაც თამბაქოს მონოპოლია. წინეთ საქართველოში მოდიოდა 800 ათასამდე ფუთი თუთუნი, წელს საქმე ისე გაფუჭდა მონოპოლიის წყალობით, რომ 40—50 ათასი ფუთი თამბაქო თუ მოდის. (ლ. ნათაძე: საბუთი?) თქვენთვის საბუთებმა დაკარგეს დამარწმუნებელი თვისება. (ლ. ნათაძე: ეს ხომ საბუთი არ არის). ამის შესახებ შემდეგ გვექნება ლაპარაკი. (ნათაძე: ჯერ დასკვნას ამბობთ, შემდეგ კი საბუთებს მოვიყვანო, ეს არ შეიძლება!) მომარაგების სამინისტროს დღემდე დამფუძნებელ კრებაში არ წარმოუდგენია არავითარი საბუთი იმისა, თუ რა გეგმები აქვს, როგორ მოქმედობს, რა შტატები ყავს, რა პერსპექტივები აქვს და სხ. მე ხელთა მაქვს ერთი საბუთი, რომელიც მოწმობს თუ როგორ ებრძოდა მომარაგების სამინისტრო სახელმწიფო კონტროლს. აქ ორატორი კითხულობს ამ ორ ორგანოს შორის არსებულ მიწერ-მოწერას და დასკვნის, რომ მომარაგების სამინისტრო ანგარიშს არ უწევს დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ კონტროლს, სამინისტრო ამბობს, რომ მომარაგების სამინისტრო სულ სხვა ხასიათისაა, მან მეტოქეობა უნდა გაუწიოს ვაჭრებს ბაზარზე და არ შეიძლება მისი დაქვემდებარება სახელმწიფო კონტროლის ფაქტიური და წინასწარი რევიზიის წესისათვის, ამ საბუთებიდან თქვენ ხედავთ, ამბობს ორატორი, რომ მომარაგების სამინისტრო გაურბის კონტროლს. გარდა ამისა ხდება აშკარა ბოროტ მოქმედებები და ბ-ნი ერაძე არავითარ ზომებს არ იღებს მის წინააღმდეგ. აი მაგალითად სამინისტროს მოხელე ვინმე კახელაძეს რევიზიის დროს დააკლდა 540 ფუთი „მანნიკრუპა“, სამართალში მიცემის მაგივრად, ეს კახელაძე უკეთეს ადგილას დაინიშნა. გორის მაზრაში სამინისტროს რწმუნებულ ვინმე შანშიაშვილსაც დააკლდა 412 ფუთი ბრინჯი. არც ის დაისაჯა ბოროტმოქმედებისათვის. შემდეგ ავლაბრის საწყობის გამგეს ვიღაც ტერ-კარაპეტიანცს და კუზანიანცს დააკლდათ 205 ფუთი ბრინჯი, არც მათ წინააღმდეგ ყოფილა მიღებული ზომები. მაგრამ ჩვენ დღემდე არ გვსმენია მომარაგების სამინისტროს მიერ ამ ფაქტების უარყოფა, მიუხედავათ იმისა, რომ ეს ფაქტები პრესაში იყო გამოქვეყნებული და საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა ერთნაირ პასუხს. გარდა ამისა მომარაგების სამინისტროს მოხელენი ღებულობენ უდიდეს ჯამაგირებს, მაგ. 25, 30 ათას მანეთს. იგივე კახელაძემ, გარდა მაღალი ჯამაგირისა, ორი თვის განმავლობაში პროცენტების სახით 200 ათასი მან. მიიღო ჯილდოთ ერაძისაგან. ვინ მისცა ამის უფლება ერაძეს?—დამფუძნებელ კრებას მისთვის ასეთი უფლება არ მიუცია. ეს იცის ერაძემ და მაინც სჩადის ამას. ეს არის თვითნებობა და ასეთი თვითნება მინისტრი არ უნდა დაეტოვებინათ თავის პოსტზე. შემდეგ ორატორი აკრიტიკებს იუსტიციის მინისტრის მოღვაწეობას და ამბობს: მე ძალიან გამიხარდა, როცა იუსტიციის მინისტრად რ. არსენიძე დაინიშნა, რადგანაც მე მას ვიცნობდი მისი პოლიტიკური გამოსვლებით და ვიცნობდი ძლიერ კარგის მხრივ, სამწუხაროდ ბ. არსენიძემ ვერ გაამართლა იმედები და დავალებები. მან სამართლის საქმე ვერ წაიყვანა, ისე, როგორც ამას სასამართლოს ინტერესი მოითხოვდა, მოვიყვან რამდენიმე ფაქტს: ვიღაც კოშიცის ქალმა ქურდობა ჩაიდინა, მისი საქმე გამოძიებაში იყო. საქმეში ჩაერია იუსტიციის მინისტრი იმ მიზნით, რომ საქმე მოესპოთ. მან დაიბარა გამომძიებელი და მას წინადადება მისცა საქმე მოსასპობათ წარედგინა. გამომძიებელმა უთხრა, წინადადება წერილობით მომეციო, მინისტრმა წერილობითი წინადადება არ მისცა და გამომძიებელი წავიდა. შემდეგ მინისტრმა სხვა საშუალებები მიიღო, რომ საქმე მოესპოთ. ბოლოს პროკურორ სიდავამ ამ საქმეს წააწერა დასკვნა, რომლითაც საქმე უნდა მოსპობილიყო. თუ ეს ყველაფერი მართალია, მაშინ არსენიძე მინისტრად არ უნდა დარჩენილიყო. ყოველ შემთხვევაში მე ველი განმარტებას. გარდა ამისა მინისტრი არსენიძე სრულებით არ იცავს თავის მოხელეების ინტერესს.

იყო ასეთი ფაქტი: ლაგოდეხში მოსამართლედ დაინიშნა ვინმე ფავლენიშვილი, რომელსაც იმავე დროს გენერალური შტაბი აძლევს რაღაც დავალებებს. ლაგოდეხში ჩასვლისთანავე მეორე დღეს ამ ფავლენიშვილს ადგილობრივი გვარდია აპატიმრებს, მას სწამებენ ჯაშუშობას, ამ კაცის სიცოცხლე განსაცდელშია ჩავარდნილი, ეს ეცნობა იუსტიციის მინისტრს, მაგრამ ის არავითარ ზომებს არ ღებულობს თავის მოხელის დასაცავად. მხოლოდ გენერალურმა შტაბმა გადაარჩინა ის ფავლენიშვილი.

დავა იყო სოხუმის ეროვნულ საბჭოს და კერძო ამხანაგობა „აგაპო“ და „არგო“-ს შორის, საქმე უნდა გარჩეულიყო სასამართლოს წესით, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრი იბარებს ამ ამხანაგობებს და უბნება: თუ საქმე არ მოსპეთ თქვენ უარესი დაგემართებათ, ვიდრე იმ სპეკულიანტებს, რომელიც ჩვენ დავიჭირეთო. ეს ხალხი. ამის შემდეგ განზე დგება და საქმე ისპობა. ავიღოთ თუ გნებავთ ჟურნალისტ ვ. თუმანიშვილის საქმე, მას მთავრობა 6 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა უკანონოდ. არც ერთი ამ საქმის შესახებ იუსტიციის მინისტრს არ აუმაღლებია თავისი ხმა და არ დაუცავს სამართლის ინტერესები. დასასრულ ორატორი აღნიშნავს რომ მთავრობა იმდენად უძლურია, რომ ს. მუხრანში განდგომილ თემის თავმჯდომარის ჭკუაში ჩაყენება ვერ შესძლო და თემის თავმჯდომარემ არ აღასრულა სასამართლოს დადგენილებაო. დასასრულ ორატორი ამბობს, რომ საქართველოს საქმეები მოითხოვს უკეთესი შემადგენლობის მთავრობასო.

რ. არსენიძე—იუსტიციის მინისტრის სიტყვა.

მოქალაქენო! დამფუძნებელი კრების წევრნო!

მე არ ვლაპარაკებ აქ არც იმ საერთო პროგრამაზე, რომელსაც ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო, არც საერთო ჩემს მოღვაწეობაზე ამ ერთი წლის განმავლობაში. თუ დრო და საშუალება მექნება, ამ ერთი წლის მოქმედების შესახებ ანგარიშს შემდეგ წარმოგიდგენთ.

ამ ჟამად კი საჭიროდ მიმაჩნია პასუხი გავცე ზოგიერთ ფაქტებზე, რომელიც იყო წამოყენებული, როგორც ბრალდება.

პირველი საქმე შეეხებოდა ვინმე კოშიცის ბოროტმოქმედებას, დღეს აქ ჩემზე მოიტანეს [illegible] საქმეში ჩავერიე იმ მიზნით, რომ ეს საქმე მომესპო. ეს სრულებით არ შეეფერება სიმართლეს. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ზოგიერთი პატივცემული დამფუძნებელი კრების წევრი შეცდომაში შეუყვანია ისეთ პირებს, რომელნიც ამ დღეებში საბრალმდებლო სკამზე უნდა დასხდენ. როდესაც ამ ბოროტმოქმედის ნალაპარაკევი აქ ტრიბუნაზე გამოაქვთ, მე ძალაუნებურათ ეჭვი მებადება, მართლა ეს წინასწარ აქტი ხომ არ არის იმის, რაც შემდეგ მათ გასამართლებლათ უნდა იქნეს თქმული სასამართლოში. ხომ არ ფიქრობენ, ამით, რომ ამ ბოროტმომქმედს დაცვის ნიადაგი მოუმზადონ? მე ასეთი ეჭვი დამებადა ამ ფაქტის ტრიბუნაზე გამოტანის შემდეგ, მაგრამ, ნება მიბოძეთ, რადგანაც კოშიცის საქმე დამთავრებულია, ზოგიერთ ფაქტებით ვისარგებლო, რამდენიმე ფაქტი აქ მოგახსენოთ.

ზეპირად არ მახსოვს, ვინაიდან არ წარმომედგინა, რომ პატივცემული დეპუტატი აქ, ჩემ წინააღმდეგ ასეთ ფაქტს გამოიყენებდა. მან ბრძანა: ჯერ ერთი რომ მინისტრმა გამოიწვია გამომძიებელი და პირისპირ ელაპარაკაო. დიახ, ეს შესაძლებელია, ხანდახან ვიბარებ ხოლმე გამომძიებლებს, ვეკითხები, როდესაც ამას საქმის გარემოება მოითხოვს. მაგრამ, არასოდეს გამომძიებლისათვის პირადათ არავითარი განკარგულება არ მიმიცია. სხვათა შორის, არ მიმიცია არც ამ პირისათვის. მე ვეცნობოდი საქმეს, ან პროკურორის საშუალებით, ან მას გადავცემდი ხელმძღვანელათ. მინისტრი ვალდებული არ არის ჩაერიოს ყოველ კონკრეტულ საქმეში და არც ამ საქმეში ჩავრეულვარ.

ამ საქმის შესახებ დადიოდა ხმა, რომ გამომძიებელი ცალმხრივად აწარმოებს გამოძიებას, რომ ქეიფობს მოპირდაპირესთან. ეს მე მამცნეს სასამართლოს წევრებმა, მათ შორის ერთმა პროკურორის ამხანაგმა, და როდესაც მეორე ცნობა მივიღე, რომ გამომძიებელი ართმევს კოშიცს ხელწერილს: დამიმოწმე, რომ შანტაჟს არ მაბრალებო, მე დამებადა ეჭვი, რად სჭირდება გამომძიებელს, რომ ბრალდებულს ხელწერილი ჩამოართვას, არაფერი ბრალი არ დამდოო. ეს დოკუმენტი კოშიცის მიერ ხელმოწერილი მე ვიპოვნე, ცალკე ძიების შემდეგ, სადაც ის არ უნდა ყოფილიყო, და ახლა ეს საბუთი ინახება პროკურატურაში. უნდა ეს გამომეძიებია თუ არა, განა არ იყო ეს ჩემი მოვალეობა?

მე ვამბობ, რომ ეს პირდაპირი ჩემი მოვალეობა იყო. (ტაში) და თუ ამას დანაშაულათ ჩამითვლით, დეე დანაშაული იყოს. (გ. გვაზავა: საქმე მოსპობილი არის?) დიახ, საქმე მოსპობილი არის და აი როგორ როდესაც საქმე დათავდა, დავეკითხე პროკურორს მის შესახებ და მან გამიცხადა, რომ პროკურორის ამხანაგმა უკვე დაწერა საბრალმდებლო აქტი, მაგრამ იმდენად უსაბუთო არისო, რომ სასამართლო არ მიიღებსო. მე მას არ დაუჯერე, მოვიწვიე ყველა პროკურორები თბილისის ყველა სასამართლოების: სენატის, სასამართლო პალატის და ოლქის სასამართლოსი და რამდენიმე გამოცდილი წევრი სასამართლოსი. მე უთხარი მათ, რომ ამ საქმეს რაღაც დამპალი ძირი აქვს, და გამოსთქვით თქვენი აზრი. ყველამ ერთად წაიკითხა საქმე, გაეცნო მას, და სთქვეს თავისი აზრი და ამ რამდენიმე კაცში, მხოლოდ ერთმა კაცმა, პროკურორის ამხანაგმა, სთქვა, რომ ჩვენ ნუ მოვსპობთ ამ საქმეს, პალატამ, ე. ი. სამართალში მიმცემმა კამერამ მოსპოსო. დიახ მხოლოდ ერთმა დამსწრეთაგანმა სთქვა, რომ ყოველ შემთხვევაში ეს საქმე წარუდგინოთ კამერას თვითონ მოსპოსო. მაგრამ პროკურორმა ეს არ ისურვა თუ საქმე მოსასპობია, მე უნდა მოსასპობათ წარვადგინო და არა გასასამართლებლათო. მაშინ საქმე გადაეცა მოსასპობად ოლქის სასამართლოს, რომელიც დაეთანხმა პროკურორის დასკვნას და საქმის მოსპობა დაადგინა.

წინააღმდეგ მხარემ გაასაჩივრა ეს დადგენილება ოლქის სასამართლოში პალატაში ხოლო უკანასკნელმაც დაადასტურა. ეს დადგენილება ეხლა მე თქვენ გეკითხებით, როდესაც სასამართლოს ორივე ინსტანციამ დაადასტურა საქმის მოსპობა, ეს იუსტიციის მინისტრის მიერ არის მოსპობილი თუ სასამართლოს მიერ? (ხმა: ასეთი არის თქვენი სიმართლე?) ასეთი არის კომერციის საქმის ნამდვილი სიმართლე. რაც შეეხება კოშიცს, პირადათ არავითარი ნაცნობობა მასთან არ მაქვს, მხოლოდ მე ის საბუთები მქონდა, რომელზედაც მოგახსენეთ და იმ საბუთების გამო აღმებეჭდა ეჭვები ამ გამომძიებელზედ და თქვენ იცით, რომ ეს გამომძიებელი სენატის დადგენილებით პასუხის გებაში არის მიცემული მექრთამეობისათვის (ტაში) (კედია: დიახ, ამაზედ ვილაპარაკებ შემდეგ) იუსტიციის მინისტრი არ აძლევს პასუხისგებაში გამომძიებელთ. პასუხისგებაში აძლევს მას სენატი ოლქის სასამართლოს წარდგენით, სადაც იუსტიციის მინისტრმა გადასცა მასალები, და ამ რიგათ სენატმა მისცა ეს გამომძიებელი პასუხისგებაში.

ბატონო სპ. კედია: თქვენ არ უნდა დაუჯეროთ ამ ბოროტმოქმედის მოყოლილ ამბებს, სჯობს მოუცადოთ სასამართლოს დადგენილებას, მის მსჯავრს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წინასწარი ვექილობა არ დაიწყოთ. როდესაც საქმეს დაგანახვებს და დაგიმტკიცებს, მაშინ სთქვით, რომ იუსტიციის მინისტრი არ იქცევა რიგიანად ამ საქმეში.

შემდეგ მე მაბრალებენ, რომ მე არ დავიცავი ზოგიერთი მომრიგებელი მოსამართლენი. მოიყვანეს მაგალითი ერთი მომრიგებელი მოსამართლის, რომელიც გაგზავნილი იყო ლაგოდეხში. მე ეს ამბავიც კარგად ვიცი. ხანდახან მე იძულებული ვხდები დავნიშნო მომრიგებელი მოსამართლენი, როდესაც მათი სათანადო რიცხვი ერობის ყრილობისაგან არჩეული არ არის, ეს შეადგენს კანონით იუსტიციის მინისტრის მოვალეობას. სამწუხაროდ ძნელი არის შოვნა ისეთი პირებისა, რომელნიც შეეფერებიან თავიანთ მოვალეობას. და მე ხშირად მიხდება სენატის საშუალებით, ამა თუ იმ მოსამართლის გადაყენება.

როდესაც მე გავიგე, რომ ის მომრიგებელი მოსამართლე, სხვადასხვა პირების ცნობით, სიტყვით და თქმით იურისტია და მცოდნე კაცი იყო, გავგზავნე ლაგოდეხში; და შემდეგ გავიგე, რომ მას სამხედრო შტაბის აგენტის როლი ეჭირა. როგორ უნდა დამეცვა, მე ეს აგენტი, ვერ გამირკვევია. რა როლში დაიჭირეს გვარდიელებმა: სამხედრო აგენტის თუ მომრიგებელ როლში? ამის გარკვევა არც ისე ადვილი იყო. და მე მაინც მივიღე ზომები, რომ ის საფრთხეში არ ჩავარდნილიყო. მე მივეცი დეპეშა, რომ ის მომრიგებელი მოსამართლეა და ნუ დაიჭირთ ვთქო. მართლაც ის იქ გაანთავისუფლეს, მაგრამ მისი მომრიგებელ-მოსამართლის ადგილზე იქ გაჩერება არ შეიძლებოდა, (ტაში). მან თვითონ დაანება თავი მომრიგებელ-მოსამართლეობას და არ დაჭირდა სენატში შუამდგომლობის შეტანა.

შემდეგ აქ მოიყვანეს ზოგიერთი საქმე. დაასახელეს რაღაც ფირმა სოხუმისოლქიდან, მე ეს საქმე სრულიად არ გამიგია, შინაგან საქმეთა მინისტრმაც მითხრა, რომ ამ საქმის შესახებ არაფერი იცოდა. არც მე ვიცი, რომ ეს საქმე მოსულიყო ჩემამდე, მე გავარკვევდი საქმეს და გავცემდი ისეთ პასუხს, როგორც მუდამ ვძლევ ხოლმე. სამოქალაქო საქმეებზე ხშირათ ყოფილა საქმეები, როდესაც ვექილები, დამფუძნებელი კრების წევრებიც სამოქალაქო საქმეების გასარჩევათ მოდიან მთავრობაში და მე ვიცავდი მთავრობაში იმ აზრს, რომ ასეთი საქმეები სასამართლოს გადასცემოდა და არ გარჩეულიყო. თქვენ გახსოვთ ალბათ ის შეცდომა, რომელიც ბ. ჩხიკვიშვილს მოუვიდა, როცა ის ბათომში ჩავიდა. მან იქ სასამართლოს ფუნქციები, სამოქალაქო საქმეები თავის თავზე აიღო. მთავრობამ გააუქმა ეს საქმეები იუსტიციის მინისტრის დასკვნის მიხედვით და უთხრა მხარეებს: სასამართლოში მიბრძანდითო. თავის თავათ ცხადია, რომ იუსტიციის მინისტრი არ იცავს იმას, რომ სამოქალაქო საქმეები გაირჩეს ადმინისტრატიული წესით, ან მთავრობაში. (გვაზავა: სისხლის სამართლის საქმე? ქ. თუმანიშვილი?).

რაც შეეხება თუმანიშვილის საქმეს, ამის შესახებ გახლავთ მთავრობის დადგენილება. მე ამ ჟამათ მთავრობის სახელით ამის შესახებ ლაპარაკს არ შევუდგები, ვინაიდან ეს არის მთლიანი აქტი მთავრობისა, მაგრამ მე, როგორც წევრი მთავრობისა, სავსებით ვიღებ პასუხისმგებლობას მთავრობის მოქმედებისათვის, იმიტომ, რომ თუ კი ადამიანი მთავრობის თავმჯდომარეს შებედავს ისეთ სიტყვებს, რომელიც აქ ყოფილიყო რომელიმე დეპუტატის მიერ წარმოთქმული, გაძევებას გამოიწვევდა ამ დარბაზიდან, ვინაიდან ასეთი შეურაცყოფის მოყენება მთელი ერის წარმომადგენლისათვის, მთავრობის თავმჯდომარისათვის, რომელსაც ყველა პატივს ვცემთ, არა მარტო როგორც პიროვნებას, არამედ, როგორც რესპუბლიკის წარმომადგენელს (ტაში), ყოვლად დაუშვებელია. და მე მგონია, მთავრობას აქვს უფლება ამისთანა შემთხვევაში მიმართოს განსაკუთრებულ ზომებს. თქვენ ამბობთ, რომ ეს სასამართლოს წესით უნდა გარჩეულიყო. მე უნდა ავღნიშნო, რომ ჩვენ სამწუხაროდ იმდენად ჩამოყალიბებული არა გვაქვს წესები და კანონები, რომ შეგვეძლოს თქმა, რომ ეს უეჭველად უნდა გაირჩეს იმ ფორმით და არა ამ ფორმით. აქ, ამ საკითხში მე, როგორც იუსტიციის მინისტრს, წამომიყენეს ბრალდება, რომ მე თუმანიშვილი ციხეში არ უნდა მიმეღო. მოგახსენებთ მთავარ დებულებას ჩვენი კანონისას, რომ მთავრობის დადგენილება სასამართლოში არ განსაჩივრდება, მაშასადამე მართლაც რომ არ ყოფილიყო, ვთქვათ,—ზოგიერთი იურისტის აზრით, მთავრობის დადგენილება, არც იუსტიციის მინისტრს, როგორც წარმომადგენელს სასამართლოსას, არ ქონდა ჩვენი კანონით უფლება მთავრობის დადგენილება განესაჩივრებია ან და იგი არ შეესრულებია. ეს არის წმინდა პოლიტიკური ხასიათის საკითხი და თუ გნებავთ დააყენეთ ეს, როგორც პოლიტიკური საკითხი და არა როგორც იუსტიციის მინისტრის მოქმედების და მუშაობის საკითხი, ვინაიდან ეს მას არ ეხება ოდნავათაც. (კედია: მაშინ თქვენ უნდა გასულიყავით სამინისტროდან?) უნდა გავსულიყავი? მხოლოდ ამაშია საქმე, რომ მე გავსულიყავი? მე ვმუშაობ მთავრობაში ისე, როგორც ყველგან იმისთვის კი არა, რომ მცირე რამისათვის გავიქცე. (კედია: პრინციპიალური საკითხია!) არა მე ამისათვის არ ვმუშაობ! მთავრობა, როცა მუშაობს მთლიანათ და იღებს საერთო დადგენილებებს, ყველა მინისტრი მომხრე და არა მომხრე აგებს პასუხს. მე მთავრობასთან ერთად ვიზიარებ ამ აქტის პასუხისმგებლობას და ლაპარაკს იმაზედ, მე მომხრე ვიყავი თუ წინააღმდეგი და რომელ მხარეს ავწიე თითი არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, ვინაიდან არ არის მთავრობაში არც ერთი საქმე, რომელიც არ იწვევდეს რამდენიმე ხმას წინააღმდეგ ან სასარგებლოდ. მაგრამ ეს არ არღვევს მთავრობის სოლიდარულ მუშაობის ხაზს, ეს არ არის პოლიტიკური ბრძოლა. არ ვარგა მხოლოდ, რომ კულისებში გაგონილი ამბავია მოტანილი აქ, ეს არ არის საკადრისი სერიოზული დეპუტატისთვის. დანარჩენ ფაქტებს, ალბათ უფრო სერიოზულს შემდეგში წამოაყენებთ, და მე მაშინ მოგცემთ განმარტებას (მაჭავარიანი: მუხრანის თემის თავმჯდომარე რატომ არ არის მიცემული პასუხისგებაში?) ამის შესახებაც მოგახსენებთ. მართალია ეს საქმე საკმაოდ რთული იყო, იმ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, რომელიც იყო ამ თემში, იქ ყოფილ დიდ ბალშევიკურ მოძრაობის გამო და იმ არევ-დარევის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რაიონში. ასეთ ადგილებში საჭიროა ხშირად უფრო სიფრთხილის გამოჩენა, ვიდრე ისეთი პოლიტიკის გატარება, როგორსაც აქ მოითხოვენ. მართალია სასამართლომ დაადგინა. მუხრანის ბინის დაცლა თემისაგან, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ბინის დაცლა რამდენად ძნელია. მე წავიკითხე ამას წინათ ერთი ჩვენი პოეტის წერილი: ის სწერს, რომ წელიწად ნახევარია, რაც სასამართლომ დაადგინა ბინის დაცლა ჩემ სასარგებლოდ, მას შემდეგ დავდივარ, მაგრამ დღემდის სასამართლომ ვერ მოახერხა ამ დადგენილების სისრულეში მოყვანაო. ეს ბინის დაცლა იმდენათ რთული და ძნელი რამ არის, რომ წლობით გრძელდება მის ასრულება და ვერ სრულდება. ეს თქვენ კარგათ იცით (ლორთქიფანიძე: კირილე ნინიძეს აძევებენ ბინიდან თუ არა!?) მე არ ვიცი, ამის ცნობა არ მაქვს. მე ვამბობ შემდეგს, რომ იუსტიციის მინისტრს არ ქონია არც ერთ წუთს იმისი სურვილი, რომ სასამართლოს დადგენილება არ ყოფილიყოს სისრულეში მოყვანილი. ის ვერ მოვიდა სისრულეში მეორე გარემოების გამო, მთავრობის დადგენილების გამო. რადგანაც ამ სახლში იდგა გვარდია, იყო თემი და ან გაიხსნა ამბულატორია მთელი რაიონისთვის. (ვეშაპელი: სანატორიუმი ხომ არ იყო?) და რადგან შეთანხმება პატრონთან მოლაპარაკებით სახლის მიქირავების თაობაზე არ მოხერხდა და მუხრანსკის მემკვიდრეებს უნდოდათ უეჭველათ განდევნა და ამ დაწესებულებებს არავითარი საშუალებით არ აძლევდენ ბინას ქირითაც კი, გაიძახოდენ, რომ იქ არის გვარდია და თემი, ამიტომ არ მინდა, რომ ჩემს სახლში იყონ. წავიდენ და ტყეში მოეწყონ!

ამ მიზეზების გათვალისწინების შემდეგ მთავრობამ დაადგინა, რომ 1 წლის იჯარით იქნეს იძულებით მიცემული ეს სახლი ამ თემისთვის (კედია: ეს არის კაპიტულიაცია თემის წინაშე) თქვენის აზრით ეს კაპიტულიაციაა, ჩემის აზრითა კი ეს არის ხალხის საქმის გაკეთება (ტაში).

ასე მიეცა ეს სახლი გვარდიას, თემს, და ამბულატორიას, თქვენ გგონიათ, რომ თუ ჩვენ ამბულატორიას გავხსნით, ეს ბოროტმოქმედებაა და რომ სასამართლო იმისთვის არსებობს, რომ შეუშალოს ხელი ამბულატორიის გახსნას; თუ ასე ფიქრობთ, მე მაშინ არ გამოვდგები თქვენთვის იუსტიციის მინისტრად. (მაჭავარიანი: ოლქის სასამართლოს ბოქაულის წინააღმდეგ მოქმედება დანაშაულია თუ არა? ჯუღელი: ამას ხალხის ინტერესი მოითხოვდა) მე მომივიდა აქტი ბოქაულის მიერ დაწერილი და არავითარი ელემენტი ბოროტმოქმედებისა, კრიმინალისა ამ აქტში არ არის. და თუ თქვენ გაქვთ სხვა ცნობა, საბუთი, მაშინ შეიძლება ლაპარაკი საკრიმინალო ხასიათის გამოძიების აღძვრაზე.

რაიც შეეხება საქმის ფორმალურ მხარეს, აქ მთავრობას თავის უფლებაზე არ გადაუჭარბებია, როცა მან მიიღო დადგენილება ერთი წლის იჯარის შესახებ. მგონი ეს უდავოა და თქვენ იცით, რომ მთავრობის დადგენილება არის ისეთი აქტი, რომელიც ჩვენი კანონის მიხედვით ჩვენი სასამართლო ვერ შეეხება.

მაშასადამე სრულიად ლეგალურად, სრულიად კანონიერად, ბინის დაცლის შესახებ სასამართლოს დადგენილების ასრულება უნდა შეჩერებულიყო. და ეს კიდევაც შეჩერებული იქნა. თქვენ იტყვით, რომ ცუდი კანონი გამოუცია სოციალდემოკრატიას, მაგრამ ეს პოლიტიკური საკითხია დასვა, როგორც პოლიტიკური საკითხი და არა, როგორც იუსტიციის მინისტრის პირადი მოქმედების მუშაობის საკითხი.

ამით ვათავებ ახლა და როდესაც შემდეგ ვნახავ იუსტიციის მინისტრის პოლიტიკის საერთო ხაზის დაფასებას, მაშინ იმაზედაც გაგცემთ პასუხს (ტაში).

(დასასრული იქნება)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

16 დეკემბერი.

ლიონის ცნობები

შეკითხვა რეიხსტაგში

დამოუკიდებელმა სოციალისტებმა შეკითხვა შეიტანეს რეიხსტაგში საგარეო პოლიტიკის შესახებ. ისინი უკმაყოფილონი არიან იმ ტაქტიკურ შეცდომების გამო, რომელიც დაუშვა მთავრობამ ანტანტასთან მოლაპარაკების დროს.

მეფე კონსტანტინე.

მეფე კონსტანტინე თავისი ოჯახით ოთხშაბათს ვენეციიდან საბერძნეთის მიმართულებით გაემგზავრა.

არჩევნები ერთა ლიგის საბჭოში:

ერთა ლიგის სხდომაზე ოთხშაბათს აირჩიეს საბჭოს ოთხი დროებითი წევრი. „ტაიმსი" ცნობით ბრაზილია, ბელგია და ესპანეთი შეინახავენ თავის ადგილებს საბჭოში. საბერძნეთის ადგილას კი არის რამოდენიმე კანდიდატი, მათ შორის ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და ჩინეთი.

ფრანგული ცნობები

ვ ნიზელოსის მომხრენი.

ვენიზელოსის ცნობილი მომხრენი და მათ შორის ყოფილი რეგენტი ამირბარი კონდურიოტისი საბერძნეთიდან ნიცას გაემგზავრა.

გერმანული ცნობები

გერმანიის ნოტა.

გერმანიის ნოტაში ერთა ლიგისადმი, რომელიც ეიპენსა და მალმედის პლებისციტს შეეხება, მოყვანილია ახალი საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბელგიის მთავრობა რეპრესიებით იმუქრებოდა,—იმ შემთხვევაში, თუ პლებისციტი გერმანიის სასარგებლოთ გათავდებოდა. გერმანიის მთავრობა ამ პლებისციტს აცხადებს უკანონოთ და საზავო ხელშეკრულების დარღვევათ; იგი მოითხოვს ახალი, თავისუფალი პლებისციტის მოხდენას ეიპენსა და მალმედში, რომლის დროსაც გამოირკვევა მცხოვრებთა ჭეშმარიტი მიდრეკილებანი.

აქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

16 დეკემბერი.

რუსეთი და რუმინია.

სტამბოლი. რუმინული გაზეთ „ავანტულ" წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „რუსეთის საფრთხე", სწერს: რუსეთის საფრთხე ჯერჯერობით არ გვემუქრება, რადგანაც რუსების ბრძოლა დნესტრს იქით გრძელდება. მაგრამ როგორც კი აღდგება ახალი რუსეთი, მისი მისწრაფებანი თავს იჩენს ახალი სახით. როდესაც აღდგება ახალი რუსეთი და იგი ქვეყნიერებასთან აღადგენს ნორმალურ ეკონომიურ დამოკიდებულებას, მაშინ გამართლდება პეტრე დიდის ანდერძი: რუსეთი სახიფათო გახდება რომინეთისათვის.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ **სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კულტურულ-განყოფილებასთან** დაარსდა ფრონტისათვის საფოსტო განყოფილება. პროვინციიდან წერილები ფრონტზე მყოფ გვარდიელთათვის უნდა გამოგზავნონ ტფილისში. აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებიც. ადრესი: მთავარი შტაბი კულტურულ განმანათლებელ განყოფილების საველე ფოსტას.

◆ **საბჭოთა მისიის მოსამსახურის თავგასულობა.** გუშინ რედაქციაში შემდეგი ცნობა მოიტანეს: გუშინ, 16 დეკემბერს, ნაშუადღევს ერევნის მოედანზე გაზეთის გამყიდველი ბავშვი ჩვეულებრივათ გაიძახოდა გაზეთებში მოთავსებულ ზოგიერთ საინტერესო ცნობებს. სხვათა შორის ბავშვს მოჰყავდა გაზეთიდან ზოგიერთი ცნობები სომხეთის ცხოვრებიდან. ამ დროს იქ გაიარა საბჭოთა მისიის შოფერმა. ჯერ უწმაწური გინებით მიმართა ბავშვს და შემდეგ ხელითაც შეეხო. შოფერი შეიპყრეს, მაგრამ კომისარიატში მიყვანამდე, გზაში, გაანთავისუფლეს, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ როგორც უცხო მისიის მოსამსახურე, ხელშეუხებელია.

◆ **იუსტიციის მინისტრის ამხანაგად** დაინიშნა გ. ქუთათელაძე.

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიური** კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო წარსულ კვირას, დეკემბრის 12-ს, არ შესდგა და გადადებულ იქნა შემდეგისათვის. კრება მოხდება კვირას, დეკემბრის 19-ს, დილის 11 საათზე, სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში.

◆ **პარტიული ფონდი.** ივ. ჩხენკელმა და ს. დობორჯგინიძემ პარტიულ ფონდისათვის შესწირეს 500—500 მანეთი. ფული რედაქციამ მიიღო.

◆ **საქართველოს მოსამსახურე ფარმაცევტთა მეორე თავისუფალი ყრილობის** მომწვევ საორგანიზაციო ბიურო, აუწყებს ამხანაგებს, რომ ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო 20 დეკემბრისთვის, შექმნილ პოლიტიკურ პირობების გამო გადაიდო მომავლისათვის.

◆ **საქარხნო კომიტეტების კონფერენცია.** კვირას, 19 დეკემბერს, დილით 10 საათზე განახლებული ლითონზე მომუშავეთა კავშირი თავის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 17) იწვევს საქარხნო კომიტეტების კონფერენციას. გასარჩევია: კოლექტიური ხელშეკრულება და ეკონომიური საკითხი. დასწრება კომიტეტის ყველა წევრებისა მანდატებით აუცილებელია.

◆ **აფთიაქის მოწაფეების საყურადღებოთ.** მომავალი წლის მარტის კონფერენციაზე აფთიაქის თანაშემწის წოდების მისაღებად დაშვებულნი იქნებიან აფთიაქის ის მოწაფეები, რომლებმაც ამა წლის ნოემბრის 26 მდი მიიღეს არა ნაკლები ორი წლის პრაქტიკისა.

◆ **სტუდენტთა შორის.** დღეს საღამოს 6 საათზე სალიტერატურო წრეში მე 2 აუდიტორიაში სტუდ. ნ. ბოკუჩავა წაიკითხავს რეფერატს: „პოემა არჩილიანი". დასწრება შეუძლიათ არა წევრებსაც.

◆ **გაზ. „ერთობის"** კანტორა აცხადებს, რომ კ. კაუცკის წიგნი „სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში" უკვე გამოილია და ამიტომ ვერავის გაეგზავნება.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** ჩვენ პოლკ. ფურცელაძის ყოფილი რაზმის ჯარისკაცების ერთი ჯგუფი ცხარე ცრემლებით დავსტირით ამხ. იოსებ [illegible]შვილის ცხედარს. მონდომ. ჯარის-კაცი რაჟ უდენტი.

კრებები.

დღეს, 17 დეკ. საღ. 5 ს., ს. ს. დ. მ. პ. მე-3 რაიონ კოლლექ. ბინაზე შესდგება რაიონის ახალგაზ. მარქ. სხდომა, რომლის მიზანი არის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის აღდგენა და მომავალი სამუშაო გეგმა. მოხსენებას გააკეთებენ ცენტრალური კომიტეტიდან.

— პარასკევს 17 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 ს. კონდუქტორების აუდიტორიაში, დანიშნულია სადგურ ტფილისის ქვეკოლექტივში შემომავალ წევრთა საზოგადო კრება. დღიურ წესრიგში რკინისგზელთა ყრილობაზედ ასარჩევ დეპუტატების დასახელება. ყველა წევრები ვალდებულია თან იქონიოს საწევრო ბარათი.

აკ. ჩხენკელი ფრონტზე

დამფუძნებელ კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი გუშინ დილით დაბრუნდა ფრონტიდან. გვარდიის დღე მან გაატარა გვარდიის ნაწილებში, რომელთაც დიდის აღფრთოვანებით იდღესასწაულეს 12 დეკემბერი. დღესასწაულში ყველა პუნქტში ხალხიც ღებულობდა მონაწილეობას, იმართებოდა განსაკუთრებული საღამოები, წარმოდგენები და მიტინგები, რომელზედაც დეპუტატი აკეთებდა დროის შესაფერ მოხსენებებს. შემდეგ აკ. ჩხენკელმა ჩამოიარა ჯარის ნაწილების პუნქტებიც, გაეცნო მათ ვითარებას, მიმართა მათ შესაფერისი სიტყვებით. ჯარის დათვალიერებას ხალხიც ესწრებოდა, ამათაც მიმართავდა დეპუტატი და აძლევდა განმარტებებს შეკითხვებზე. მგზავრობამ გასტანა 5 დღე, რომლის განმავლობაში დეპუტატი იყო ათიოდე ერთი მეორეზე დაშორებულ პუნქტში.

როგორც გვარდიის, ისე ჯარის ნაწილებში ჩინებული სულისკვეთება არის, ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ ჩხენკელის წვევით და არ მალავდენ თავის სურვილს, რომ ხშირათ ეწვეოდენ მათ ტფილისიდან. საშობოთ ისინი მოელიან საჩუქრებს ზურგიდან.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

წითელ არმიელების საქმე. თერგის ოლქის „რევკონტრიბუნალში" გაირჩა 39 წითელ არმიელის საქმე, რომლებსაც ბრალდებოდათ აჯანყება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და სახელმწიფოებრივი ღალატი. პროცესი სამი დღე გაგრძელდა. ბრალდებულთა უმრავლესობა დონის ყაზახები შეადგენენ, რომლებიც მსახურობდნენ ყუბანის „კავპოლკში". (კავკავის „კომუნისტი", № 94).

ა. **გეგეჭკორი,—„ობლკომუნხოზის" თავმჯდომარე.** როგორც კავკავის „კომუნისტის" № 194 ში მოთავსებულ განცხადებიდან სჩანს,—ჩვენში კარგათ ცნობილი საშა გეგეჭკორი ამ ჟამად კავკავში ყოფილა და „ობლკომუნხოზის" (ოლქის კომუნისტური მეურნეობა) თავმჯდომარის თანამდებობას ასრულებს.

თავდაცვისათვის

შემოწირულებათა შემოტანა მთავარ კომიტეტში თანდათან ძლიერდება. კომიტეტმა ბრძანება გასცა შემომწირველთა სიების შედგენის და მათი გამოქვეყნების შესახებ.

დამფუძნებელი კრების დარბაზში დეკემბრის 13-ს შესდგა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ჟორჟოლიანმა გააკეთა მოხსენება ცალკე სექციათა მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სხდომას სარევიზიო კომისიას პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობის ხელ-ახლა არჩევის შესახებ, კომიტეტში ახალ წევრების შესვლის გამო კომიტეტმა დაადგინა აირჩიოს ხელახლად პრეზიდიუმის ძველი შემადგენლობა.

ამავე სხდომაზე კომიტეტმა მოიწონა პრეზიდიუმის წინადადება დეკემბრის 24 და 25 ტფილისში და სხვა ქალაქებში „ფრონტის ნაძვის ხეების" მოწყობის შესახებ. ამ დღეების მოსაწყობად აირჩიეს კომისია 15 კაცისაგან შემდგარი. შემდეგ კომიტეტმა მოისმინა ცალკე სექციის მოხსენებანი, შემოწირულებათა შემოსვლის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შემოწირულებანი კარგათ შემოდის, მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა შეძლებულ პირებს შემოწირულებაზე უარი განუცხადებიათ. კომიტეტმა დაადგინა იმ შეძლებულ პირთა სიის გამოქვეყნება, რომლებმაც შემოწირულებაზე უარი განაცხადეს. (სდს).

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

8 დეკემბრის სხდომა.

ვიკტორ თევზაიას სიტყვა.

(დასასრული).

თქვენ მოითხოვეთ მთავრობის თავმჯდომარისთვის უფლება „ვეტო"-სი. შეიძლება მიღებულ იქნას ისეთი კანონი, რომელიც არ არის მისაღები ხალხის უმრავლესობისათვის შეიძლება მიღებულ იქნას ისეთი კანონი, რომელსაც აზის დროებითი მოვლენის ბეჭედი, რომელიც გამოხატავს არა ნორმალურ პსიხოლოგიურ განწყობილებას, რომელიც შეიქნა ამა თუ იმ მიზეზით საკანონმდებლო ორგანოში. და სწორედ უნდა იყოს რომელიმე ძალა, რომელიც შეაჩერებს ამ კანონის მიღებას. ამ მხრივ ჩვენ თანახმანი ვართ. ვინც არის მომხრე პრეზიდენტისა, მან უნდა სთქვას, რომ „ვეტო"-ს უფლება უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს. მხოლოდ ის, ვინც ამბობს, რომ პრეზიდენტი საჭირო არ არის, ის იტყვის, რომ „ვეტო" საჭირო არის, მაგრამ ეს უფლება ვეტოსი უნდა ჰქონდეს არა ერთ რომელიმე პირს არამედ ხალხს, რეფერენდუმი—ეს არის საუკეთესო ვეტო ხალხისა რომელიმე კანონის წინააღმდეგ. (დადიანი: გინდათ თუ არ გინდათ პრეზიდენტი ბოლოს და ბოლოს?) ბატონი შენგელაია ამბობდა, რომ ჩვენ უნდა შევიტანოთ კონსტიტუციაში მილიციის სისტემა. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ვართ ამის წინააღმდეგი არა იმიტომ, რომ მოვიყვანოთ ის საბუთები, რომლებიც მან მოიყვანა, რომ დღეს ეს არ შეიძლებაო. ჩვენ ვართ წინააღმდეგნი იმისთვის, რომ თუ კონსტიტუცია მივიღეთ ორი-სამი თვის შემდეგ, თქვენ

ქართული დრამა

(„ბერდო ზმანია", ა. შანშიაშვილისა)

„ბერდო ზმანიას" წარმოდგენის დაფასება ძალაუნებურად უნდა გადიქცეს თვით პიესის დაფასებათ, რადგანაც, შეიძლება ვთქვათ, არც ერთი წარმოდგენის ღირსება ნაკლულოვანება არ ყოფილა ისე რიგათ დამოკიდებული თვით პიესაზე, როგორც ეს ეთქმის „ბერდო ზმანიას" შესახებ. უფრო გარკვეულად ვიტყვით: არც ერთი პიესის წარმოდგენაში რეჟისორს არ დასჭირებია ამოდენა თავისი შემოქმედების გამოჩენა და ამოდენა თავის შრომის დახარჯვა, როგორც ამ პიესის წარმოდგენაში. მაგრამ ამოდენა შრომა და მეცადინეობა არც ერთხელ არ დახარჯულა ისე უნაყოფოდ, როგორც ამ შემთხვევაში. და ეს მარტო უნდა მიეწეროს მხოლოდ თვით პიესას.

პიესა აგებულია ხელოვნების დანიშნულების ყალბ გეგმაზე. ავტორს უნდოდა უეჭველად ფილოსოფიური პიესა დაეწერა. მან ხელი მოჰკიდა ისეთ დიდს თემას, როგორიც არის ფილოსოფიურად დახატვა კაცის სიცოცხლისა, თემა, რომელზედაც არა ერთი და ორი მსოფლიო გენიოსი წაბორძიკებულა და დამარცხებულა. არავითარი ფილოსოფია ბ. შანშიაშვილის პიესაში არ არის. აქ ვხედავთ მხოლოდ დიდს პრეტენზიებს და ის დედა აზრები კი, რომლებიც პიესაშია გატარებული, მეტად შაბლონური, „ობივატელური" ხასიათისაა. რა ფილოსოფიაა იმის თქმა, რომ ადამიანში ერთის მხრით მიწიერი არსებაა მოთავსებული („ბერდო"), მეორეს მხრით —ზეციური „ზმანია")? ან ის, რომ ადამიანის ხორციელი არსება ხორციელ სიტკბოებისაკენ მიილტვის („ჩემს ხორცს სწყურიან სულ სხვა გვარი მშვენიერებანი, მომბეზრდა მუდამ განწყენებულ სიტკბოს ძიება", ეუბნება „ბერდო" თავის ტყუპს „ზმანიას") და მისი სულიერი არსება კი ოცნებისაკენ მიისწრაფის („მე კი მას ჯერ ვარ, რასაც სული მიისწრაფება; აქ სამუდამო სიცოცხლე და უკვდავება", თავის მხრით ეუბნება „ზმანია" „ბერდოს") რა ფილოსოფიაა ის, რომ ადამიანს ბედი („ბედია") სდევს თან და რომ იგი თავის ბედს ვერსად წაუვა? არც ფილოსოფიად და არც პოეტურ სახედ არ მიგვაჩნია ჩვენ ის „დეკლარაცია", რომლითაც ბედია გვაცნობს თავის თავს:

...„შენ (ბერდო) ხორცშესხმული ხარ, ხოლო მე—სული, რომლის მეორე სახეს ჩემსას შენ თვით ატარებ".... და სხ. სრულიად უშინაარსოა ის „თვითგამორკვევა", რომლითაც ბედია გვიმასპინძლდება:

„ის ვარ, რაც არის, რაც იქნება, რაც უნდა იყოს".

ამნაირი „ფილოსოფიიდან" ვერ შეიქმნება ვერავითარი ხელოვნური ნაწარმოები, უაზრობას და უშინაარსობას ხელოვნება ვერ შეურიგდება. ამიტომ არის, რომ „ბერდო-ზმანია" თავიდან ბოლომდის „მოფიქრებული" ნაწარმოებია, ტვინის ნაცოდვილარია და არა პოეტური აღმაფრენის, შემოქმედების ნაყოფი. ავტორს უნდოდა დაეწერა სიმბოლიური პიესა, მაგრამ მისი „სიმბოლისტობა" გამოიხატა იმისთანა მდარე ხარისხის სახელწოდებაში, როგორც „ზმანია", „ცისია", „ბედია", „დედია", „ვნებია" და სხვა. ოდესღაც ლიტერატურაში მისაღებათ მიაჩნდათ მომქმედ პირთა ისეთი სახელები, რომლებშიაც მათი ხასიათი უნდა გამოხატულიყო (მოვიგონოთ თუნდ ფონვიზინის „სტაროდუმ", „პრავდინ", „მილონი" და სხ.) ჩვენ დროს ასეთი გულუბრყვილო ხერხი მხოლოდ ღიმილს მოგვრის მკითხველს, რადგანაც იგი შემოქმედების სისუსტის საუკეთესო ნიშანია: მომქმედ პირთა დახატვით რომ ვერ დაუჯერებია მკითხველი, ავტორი იძულებული გამხდარა მისთვის სიტყვებით აეხსნა მათი ხასიათი. ეს ემსგავსება ცნობილს „се левъ, а не собака" ს.

კიდევ უფრო გულუბრყვილობის შთაბეჭდილებას ახდენს როდესაც შიგ პიესაში რამოდენიმე მომქმედი პირის საშუალებით ავტორი უხსნის მკითხველებს მომქმედ პირთა სახელების მნიშვნელობას. (ასეთს ახსნას წარმოადგენს, მაგ. ბედიას სიტყვები:

...ვიდრე ბერდო შენი არ მოხუცდება,
რისთვისაც უკვე მას სახელად ბერდო
დაერქვა,
და უმოქმედო ოცნებისთვის—ბერდო
ზმანია".)

ცრუ კლასიკების ხელოვნებას მოგვაგონებს „ბერდო-ზმანიაში" მრავლად გაბნეული ადგილები, სადაც მომქმედი პირნი თითონვე აუწერენ მკითხველ-მსმენელებს იმ სულიერ მდგომარეობას, რომელსაც ისინი განიცდიან. (მაგ. ბერდო თავის თავზე გვიამბობს:

„მაგრამ თვით ჩემში უცნაური ბრძოლა სწარმოებს:
„დაჰყე მათს (ქალების) სურვილს!"—
„არა, სხვა შენი მიზანი".)

ცრუ კლასიკებმაც იცოდენ: „ოჰ, როგორა ვარ აღელვებული", „ჩემში ორი გრძნობა ერთმანეთს ებრძვის, ერთმა მეორე სძლიაო".

„ბერდო ზმანიას" აშკარად აჩნევია სხვადასხვა ავტორების გავლენა; მეტადრე ლეონიდ ანდრეევის **„Жизнь человѣка"**-ს მოგვაგონებს, მხოლოდ სრულიად მოკლებულია ამ პიესის სიღრმეს და ხელოვნურ ღირსებებს. ლ. ანდრეევის პიესა **სტილიზაციის** ერთ ერთი ნიმუშია. ცხოვრების ფილოსოფიურად წარმოდგენის პრეტენზიები კი არ ჰქონია ავტორს მის დაწერის დროს, არამედ მას მიზნათ ჰქონია ცხოვრების საერთო **სურათის** დახატვა, მკითხველისთვის იმ **შთაბეჭდილების** გადმოცემა, რომელსაც ადამიანის ცხოვრება ახდენს შორიდან მაყურებელ ავტორზე ერთის თვალის გადავლებით, ჩიტის ფრენის სიმაღლიდან დახედვით. ბ. შანშიაშვილის პიესა კი არ წარმოადგენს არავითარ სტილიზაციას, ხელის მოკიდება ისეთი რთული და დაუძლეველი თემისა, როგორსაც „ბერდო-ზმანია" იდეა წარმოადგენს, სრულის მარცხით უნდა გათავებულიყო და მკითხველს პოეზიის მაგიერად უნდა ხელში შერჩენოდა თავის მომაბეზრებელი ფილოსოფიური ციებ-ცხელება. ბ. შანშიაშვილი სრულებით არ არის მოდერნისტი-სტილიზატორი (საბედნიეროდ); იგი რეალისტია, რომანტიზმისაკენ გადახრილი. და რაც უფრო ასცდება იმ გზას, რომელზედაც თავის პოეტურ მოღვაწეობის პირველ ხანებში იდგა, მით უფრო ნაკლები ხელოვნური ღირებულებისა იქნება მისი ნაწარმოები.

პიესა უშინაარსო და ხელოვნებას მოკლებულია. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა არ მიგვექცია ყურადღება იმ მშვენიერი ენისათვის და კიდევ უფრო მშვენიერი ლექსისათვის, რომლითაც იგია დაწერილი. ენის სიმდიდრეში და ლექსის მუსიკალობაში ბ. შანშიაშვილს ძნელად თუ ვინმე შეედრება ახალთაობის მწერალთა შორის. და სწორედ სავალალოა, რომ თავის მშვენიერს ენას და ლექსს იგი ხარჯავს ისეთი დიდი და ისეთი უპოეზიო ნაწარმოებზე, როგორიც არის „ბერდო-ზმანია".

რეჟისურამ გააკეთა ყველაფერი, რომ წარმოდგენა საინტერესო გამომდგარიყო. საუცხოო დეკორაციები (გარდა პირველი მოქმედებისა), ლამაზი ბალეტი, მშვენიერი მუსიკა—ყველაფერი ეს თავის თავად მნიშვნელოვანია. მაგრამ ყველაფერი ეს ბევრად უფრო დიდს ნაყოფს გამოიღებდა, ბევრად უფრო დიდს ესტეტიურ სიამოვნებას გააღვიძებდა, რომ ამოდენა შრომა და ენერგია არ დახარჯულიყო ხელოვნების მხრით სრულიად უხეირო, უიმედო პიესაზე.

რაც შეეხება ამსრულებლებს, მათ ვერაფერს მოვთხოვთ, რადგან, გარდა ლამაზი ლექსისა, არტისტებს პიესა არაფერს აძლევს. აქ არ არის არავითარი ხასიათი, არავითარი ტიპი, რომლის გამოხატვაც ევალებოდეს მსახიობს. აქ შეიძლებოდა მხოლოდ ლამაზი დეკლამაცია, და ეს ჩვენმა არტისტებმა მისცეს მაყურებლებს, რადგან მათ ბევრი უმუშავნიათ როგორც ლექსის გაზეპირებაზე, ისე დეკლამაციაზე. სხვა რა უნდა შეექმნათ მსახიობებს იმ **„ходячая философия"** დან, რასაც წარმოადგენს პიესის თვითოეული მომქმედი პირი?

ლ. ნათ ძე.

ეროვნული

იმ წამსვე უნდა შემოიღოთ ეს წესი, ეს სისტემა, თუნდაც ეს ტექნიკურად შეუძლებელი იყოს. ასეთი მუხლის კონსტიტუციაში შეტანის შემდეგ, ყოველ დეპუტატს, და მით უმეტეს ბ. შენგელაიას, მიეცემა საშუალება სთქვას, რომ ის, რაც არსებობს და ტექნიკური და საზოგადო მიზეზების გამო ვერ შეიცვალა უცბად ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ჩვენ გვინდა, რომ ჯარის რეორგანიზაცია მოხდეს კანონმდებლობითი გზით. ჯარის ორგანიზაცია არის უბრალო კანონის საქმე (ხმა: ყველაფერი უბრალო არის!) არის უბრალო, ესე იგი ჩვეულებრივი კანონის საქმე. უდავოა ჩვენთვის, რომ ხელსაყრელ პირობებში ასეთი კანონი სახალხო მილიციის შესახებ იქნება შემუშავებული და ის ცხოვრებაში აუცილებლად გატარდება.

ბატონებო, კონსტიტუციის ძირითადი მუხლები იქმნა გაკრიტიკებული როგორც ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენლის მხრივ, ისე სოციალისტ-რევოლუციონერების მხრივ. რაც შეეხება სოციალისტ-რევოლუციონერებს მე შემიძლიან ვიწინასწარმეტყველო, რომ ყოველ უმთავრეს მუხლს ამ კონსტიტუციისას ისინი მიიღებენ. თუ ეს ასე არ იქნება (**შენგელაია: არ იქნება!**). მაშინ იქნება ერთი: ისინი წარმოადგენენ აქ კონსტიტუციას, რომელიც იქნება ოდნავ შესწორებული კონსტიტუცია საბჭოთა რუსეთისა. სხვა კონსტიტუცია არ არსებობს. მე არ მინდა, რასაკვირველია, უპატივცემლოდ მოვეპყრა სოციალისტ რევოლუციონერების ფრაქციას; მაგრამ მე შემიძლიან თამამად ვსთქვა, რომ ის ხალხი, რომლებიც აქ, დამფუძნებელ კრებაში, იძლევიან ახალი უფლებების განმარტებას და მოყავთ ავტორიტეტად კორკუნოვის ნაწერები—ამ ხალხს არ შეუძლიან შემოიტანოს ისეთი კონსტიტუცია, რომელიც ჰქონდეს აწყობილ კონსტიტუციას და მას ჰქონდეს თანამედროვე იურიდიული ხასიათი. (**შენგელაია: რატომ?**) მან ვერ შესძლო განმარტება მოეცა, თუ როგორი იქნება მათი კონსტიტუცია, თუმცა დაგვპირდა მის განმარტებას. და სწორედ ეს მაძლევინებს მე ვსთქვა, რომ ყოველი მისი დაპირება არის ფუჭი დაპირება, მათი კონსტიტუცია იქნება ან დემოკრატიული, ან ანტიდემოკრატიული. მე კი მგონია რომ ისინი პროექტს დაუჭერენ მხარს—და მის უმთავრეს მუხლებს მიიღებენ. ისინი იძულებულნი იქნებიან ასე მოიქცნენ, თუ თანამედროვე მოწინავე დემოკრატიის აზრს იზიარებენ.

ბ. შენგელაია შეუდგა კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლს. მან იკითხა: რას ნიშნავს დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივი ფორმაო. ნუ თუ ეს ნიშნავს ხალხის უმრავლესობის ბატონობასაო. და, როდესაც უთხრეს, რომ ამასა ნიშნავსო, მაშინ სთქვა, რომ ჩვენ ასეთ სისტემას ვერ მივიღებთო. (ხმა: მუდმივად?) დიახ, მუდმივად, ყოველთვის. ყოველი სოციალისტი იღებს იმას, რომ მუდმივ და ყოველთვის ხალხის უმრავლესობის ნება-სურვილი იყოს გაბატონებული. ეს არის ძირითადი პრინციპი და, როცა თქვენ ბრძანებდით სახელმწიფოს მოსპობაზედ—ეს ამას არ შეეხებოდა. ნუ თუ ბატონ შენგელაიას ჰგონია, რომ სოციალიზმის განხორციელება იქნება უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე? (შენგელაია: სრული თავისუფლება იქნება). ნუ თუ ბატონ შენგელაიას ჰგონია, რომ სოციალიზმის დროს არ იქნება ბატონობა უმრავლესობისა უმცირესობაზე? საიდგან მოიტანა მან, რომ სოციალისტური წესწყობილება ეს ნიშნავს ადამიანის ბატონობას, ეს ნიშნავს პიროვნების ბატონობას? ეს არასოდეს არც ერთ სერიოზულ სოციალისტს ასე არ გაუგია. შეიძლება იყოს ქვეყანა ნამდვილი სოციალისტური, არ იყოს სახელმწიფო პოლიტიკური, მაგრამ სოციალიზმის დროს იქნება სახელმწიფო ეკონომიური. ან უკეთ ვსთქვათ ეკონომიურად აწყობილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ეს იქნება კოლექტივიზმი. სხვანაირი წესწყობილება ვერ წარმოუდგენიათ სოციალისტებს. სხვანაირი წესწყობილება, რასაკვირველია, წარმოუდგენიათ ანარქისტებს ანარქო-სინდიკალისტებს და მონარქისტებს. მონარქისტი რომ შენგელაია არ არის, ეს იცის მან და დამფუძნებელმა კრებამ. მაგრამ, რომ ბ-ნი ლეო შენგელაია არის ანარქო-სინდიკალისტი, ეს ყველამ იცის, მხოლოდ მან თითონ არ იცის ეს. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ სოციალიზმის დროს იქნება ცალკე ჯგუფები და ამ ცალკე ჯგუფების ნებასურვილი და უფლება იქნება გაბატონებული ქვეყნად. მაგრამ სოციალისტმა იცის, რომ სოციალიზმის დროსაც იქნება უმრავლესობის აზრი და უმრავლესობის ნება გაბატონებული. სოციალიზმის დროსაც უსათუოდ გამოჩნდება ისეთი პირი, რომელიც როგორც დღეს, მოინდომებს თავის აზრის, ფანტაზიის გასაღებს საზოგადო აზრად. სოციალიზმი არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ადამიანების მთელი ფსიხოლოგია შეიცვლება ისე, რომ მას ნაკლი არ ექნება და ყველანი ანგელოზივით დაიწყებენ ფრენას. ეს შეიძლება მოხდეს მილიონი წლის შემდეგ, მაგრამ ჩვენ იმ დროისთვის არ ვწერთ კონსტიტუციას. ჩვენ კონსტიტუციას ვწერთ იმ დროისთვის, რომელიც შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რაც მოხდება. და როდესაც რომელიმე შთამომავალი ბ-ნ შენგელაიასი გამოიგონებს იმისთანა საშუალებას, აზრს, რომ ყოველ ადამიანს თავის სახლში ექნება თავისი სახელმწიფო, თითონ დაიკმაყოფილებს თავის ყველა მოთხოვნილებებს ესთეტიურს, სულიერს, მატერიალურს და სხვ.,—მაშინ შეიძლება, რასაკვირველია, არ იყოს საჭირო დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ ამას წარმოდგენა დღეს ჩვენ არ შეგვიძლიან. ამის წარმოდგენა შეუძლიან იმისთანა ფანტაზიის ხალხს, რომელიც არ ღებულობს თანამედროვე დემოკრატიულ კონსტიტუციას და თითონაც კონსტიტუცია არ მოეპოება. (ტაში).

რკინის გზაზედ

რკინის გზელთა ცენტრალური გამგეობის მიერ დანიშნული კომისია აცხადებს პარტიების საყურადღებოთ რომ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მე-7 რაიონში (სადგ. თფილისიდან სად. უფლის ციხემდე) საარჩევნო ყუთი დაიდგმება შაბათს, 18 დეკემბერს, დილის 10 საათ. კონდუქტორების აუდიტორიაში.

პარტიამ, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, აღნიშნული დროსთვის უნდა გამოგზავნოს საარჩევნო კომისიაში თითო წარმომადგენელი პარტიის მიერ დასახელებულ კანდიდატების სიით.

აღნიშნულ დროს შემდეგ სიები არ მიიღება.

საარჩევნო კომისიის მისამართი: კავშირის მეშვიდე რაიონული გამგეობის ბინა.

პროფესიონალურ კავშირებში

ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირში.

პრეზიდიუმის არჩევა. 24 დეკემბერს შესდგა ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის ახლად არჩეულ გამგეობის სხდომა. დღის წესრიგში სხვა საკითხთა შორის დასმული იყო საკითხი პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. მეორე სიის წარმომადგენლებმა (ბოლშევიკებმა) უარი განაცხადეს თავმჯდომარის ამხანაგის კანდიდატის წამოყენებაზე და მოითხოვეს წინასწარ მიეცათ მათთვის მდივნის ამხანაგის ადგილი. ამაზე გამგეობამ უპასუხა, რომ მას შეუძლებლად და დაუშვებლადაც მიაჩნია პარტიულ თვალსაზრისით წინასწარ ადგილების განაწილება და მოითხოვა, ეს საკითხი დასმულიყო და გადაწყვეტილიყო სხდომაზე. ამის შემდეგ მოხდა გამგეობის პრეზიდიუმის არჩევა. არჩეულ იქნენ: თავმჯდომარეთ მ. გოგუაძე, მის ამხანაგათ ი. ვადაჭკორია, მდივნათ ს. დობორჯგინიძე, მის ამხანაგათ მ. თამაზაშვილი, ხაზინადრათ სტ. ელიავა.

დისციპლინის დარღვევისათვის. ხსენებულ კავშირის გამგეობის 1 დეკ. სხდომაზე განხილულ იქნა ასოთ-ამწყობ დოშოიანის საქმე. გამგეობამ დაადგინა: ვინაიდან ასოთ-ამწყობმა დოშოიანმა არა ერთხელ დაარღვია კავშირის დისციპლინა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ის იღებდა კერძოთ სასტამბო საქმეს, კავშირის დაუკითხავად მიდიოდა სამუშაოზე და აგრეთვე დაუკითხავად ანებებდა თავს—ამიტომ ხსენებული ასოთ-ამწყობი გამორიცხულ იქნას კავშირის წევრობიდან.

ბეჭდვითი ამხანაგობის პროექტი. ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობამ გააცნო ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფ. კავშირის გამგეობას ხსენებულ ამხანაგობის მიერ შემუშავებული პროექტი, რომლითაც მუშები წარმოების მოგების მონაწილეთ ხდებიან. გამგეობამ უარი განაცხადა ასეთი პროექტის მიღებაზე და მიუთითა ამხანაგობას შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პრემიალურ სისტემაზე.

„ნემსის პროლეტართა“ კავშირში.

შტატების შემცირება. 7 დეკემბრის სხდომაზე „ნემსის პროლეტართა“ კავშირის გამგეობამ გაითვალისწინა რა ის მდგომარეობა, რომ კავშირის მოსამსახურეთა ხარჯებს ვერ ფარავს შემოსავალი, დაადგინა სამსახურიდან დაითხოვოს მკერავ ქალთა კავშირის მდივანი არამჯანიანცი და „ნემსის პროლეტარიატის“ კავშირის საქმის მწარმოებელი, რომელიც სალამოთი მუშაობდა. არამჯანიანცსა და მკერავ ქალთა კავშირის მდივნის ყოფილ ამხანაგს, რომელიც უკვე დათხოვნილია, მიეცეთ სალიკვიდაციო ჯილდო.

ხელფასის გათანასწორება. გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სატარიფო პალატის წინაშე, რათა მან გადახედოს კავშირის ყველა არსებული სექციების (გარდა მკერავ ქალთა) ხელფასი და გაუთანასწოროს მათ ჯამაგირი სხვა დარგის მუშების ჯამაგირებთან.

საზოგადო კრების მოწვევა. გამგეობის დადგენილებით 1921 წლის 8 იანვარს, მოწვეულ იქნება ხსენებულ კავშირის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე განხილულ იქნება საკითხები: 1) მოხსენება თფილისის პროფ. კავშირების საბჭოსაგან, 2) წარმომადგენლის არჩევა საბჭოში, 3) სარევიზიო კომისიის არჩევა და 4) მიმდინარე საკითხები.

მუშათა ფრაქციის წევრთა არჩევისა და პრემიალური სისტემის შემოღების გამო. გამგეობა ადასტურებს საბჭოს მიერ სატარიფო პალატის მუშათა ფრაქციის წევრთა არჩევებს და იწონებს პროექტს პრემიალური სისტემის შემოღებისას. გამგეობა აღუთქვამს სამინისტროს ყოველგვარ ზომებს ამ სისტემის ცხოვრებაში გატარებისათვის და იმედს გამოსთქვამს, რომ ამ პროექტის ცხოვრებაში გატარება გააუმჯობესებს მუშათა მატერიალურ მდგომარეობას და ააყვავებს წარმოებას, რაც ხელს შეუწყობს საბოლოო მიზნების მიღწევას.

ლითონზე მომუშავეთა კავშირში.

ლითონზე მომუშავეთა პროფ. კავშირის გამგეობის მიმართვაზე სეკრეტარიატმა აცნობა მას, რომ პირველი საწყობის მუშათა და მოსამსახურეთა ლითონზე მომუშავეთა კავშირიდან სურსათზე მომუშავეთა კავშირში გადარიცხვა, ხსენებულ საწყობის მუშა მოსამსახურეთა და ადმინისტრაციას შორის არსებულ კონფლიქტის გამო, შეჩერებულია მანამ, სანამ არსებული კონფლიქტი არ მოგვარდება.

ხსენებულ კავშირის გამგეობის 7 დეკემბრის სხდომაზე დადგენილ იქნა: 1) მოწვეულ იქნას გამგეობის არაჩვეულებრივი სხდომა პარასკევს საღამოს 6 ს. კოლექტიურ ხელშეკრულებისა და მასში შრომის სამინისტროს მიერ შეტანილ ცვლილების განსახილველათ, 2) მოწონებულ იქნას შრომის სამინისტროს პროექტი პრემიალური სისტემის შემოღების შესახებ, მხოლოდ მისი პრაქტიკულათ განხორციელება მიენდოს საქარხნო კომიტეტებს, 3) არსენალის შოფერი ჯაფარიძე ქურდობისათვის გამორიცხულ იქნას კავშირიდან, 4) ეცნობოს რადიო გუნდის უფროსს თავის მომართვის პასუხათ, რომ რადიო ტელეგრაფისთვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით ისე, როგორც ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინის გზის მოსამსახურეების, 5) წინადადება მიეცეს საქარხნო კომიტეტებს, რათა მათ მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ საწევრო გადასახადი თავის დროზე შემოდიოდეს კავშირის კასაში.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 9 დეკემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლლექტივის სხდომა. დაესწრნენ I-ლი II-რე კოლლექტივებისა და იაჩეიკას წარმომადგენლები.

დღიურ წესრიგის გარჩევამდის კოლლექტივმა მოისმინა მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, შეკითხვების შემდეგ მოხსენება მიღებულ იქნა.

კოლლექტივმა საჭიროდ სცნო აღდგენილ იქნას რაიონში არსებული თავდაცვის კომისიის მუშაობა, რომელიც შეავსო ახალი პირებით.

ამხ. ანდ. ვაშაკიძის განცხადების გამო შეიარაღებული პარტიის წევრთა შესახებ კოლლექტივმა დაადგინა: 15 დეკ. ოთხშაბათს, სად. 5 საათზე მოხდეს შეიარაღებულ პარტიის წევრთა საზოგადო კრება კოლლექტივის ბინაზედ, რასაც დაესწრობიან მესამე რაიონის შტაბის წევრები და კოლლექტივის შემადგენლობა.

შრომის სავალდებულო ბეგარის შესახებ მოხსენებას აკეთებს მთავარი შტაბიდან ამხ. ვასაძე, მოხსენებას კოლლექტივი სავსებით ღებულობს და შრომის სავალდებულო ბეგარის ცხოვრებაში გასატარებლად ირჩევს თავის მხრით კომისიის წევრებათ ამხ. ნ. სხულუხის, ვ. კაპანაძის, ს. მეტრეველს. შტაბიდან კომისიაში შედიან: ამხ. ისოსებ ზარიამაშვილი, იოს. მენაბდიშვილი, მ. ამულაძე.

12 დეკემბრის დღის მოსაწყობად კოლლექტივი ირჩევს კომისიას, რომელსაც ევალება გვარდიის დღე მოაწყოს ავლაბრის მუშათა კლუბში, მომხსენებლად მოწვეულ იქნას ამხ. ნ. ხომერიკი, მოხსენების შემდეგ გაიმართოს დრამატიული და საკონცერტო განყოფილებანი. საღამოზე შესასვლელი ფასები იქნეს ხელმისაწვდომი დემოკრატიისათვის.

მეთამბაქოეთა კავშირის წერილობითი განცხადება, რომელიც შეეხება ავათმყოფ მუშის ტერსტეფანოვის საავათმყოფოში მოთავსებას, კოლლექტივი ადგენს შემდეგს: აღიძრას შუამდგომლობა თფილისის ცენტრალურ სოციალურ დამხმარე საზოგადოების წინაშე რათა ავათმყოფი ტერსტეფანოვი ხსენებულმა საზოგადოებამ მოათავსოს ქალაქის რომელიმე საავათმყოფოში.

პროფესიონალურ კავშირებთან დამოკიდებულების შესახებ კოლლექტივს გამოაქვს დადგენილება, რომ რაიონში არსებულ პროფესიონალურ კავშირების ს. დ. ფრაქციამ მჭიდრო კავშირი იქონიოს კოლლექტივთან და სავალდებულოდ გაიხადონ ფრაქციის წარმომადგენლების გამოგზავნა ყოველ სხდომაზე.

მოსმენილ იქნა მოხსენება 1-ლი სასურსათო მაღაზიიდან, სადაც სამწუხარო ფაქტი მოხდა პარტიის წევრის ისაკ განჯაშვილის მიერ, რომელმაც მუშაობის გათავების შემდეგ მალულად გაიტანა 7 გირვანქა შაქარი, რომელიც ჩამორთმეულ იქნა, კოლლექტივი ასეთ ულირს წევრს არ სტოვებს პარტიის წევრად, რიცხავს მას პარტიიდან და საწევრო წიგნაკს ისაკ განჯაშვილისას № 746 გაუქმებულად აცხადებს.

ამხ. ანდ. ვაშაკიძე კოლლექტივს აცნობს, რომ მესამე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბმა გამართა საღამო რაიონის გვარდიელების ოჯახების სასარგებლოდ, რომელმაც დასტოვა წმინდა შემოსავალი 115,000 მანეთი რომლითაც ფრონტზე წასულ გვარდიელების უფრო ღარიბ ოჯახს მიეცემა დახმარება ფულად და განზრახვა არის მათთვის შეშის შეძენისა.

ამხ. ხარატიშვილს გამოაცხადოს მადლობა, რომელმაც კოლლექტივს შესწირა 100 მანეთი.

დასასრულ კოლლექტივს გამოაქვს დადგენილება, რაიონში წევრთაგან მოეწყოს საარჩევნო ფონდის შეკრება, წევრთათვის სავალდებულოა პარლამენტის მომავალი არჩევნებისათვის თითოეულმა წევრმა პარტიისამ გადაიხადოს 100 მანეთი. ფონდის შეკრება უნდა მოხდეს თფილისის კომიტეტის მიერ შეძენილი საკვიტანციო წიგნაკებით.

დანარჩენი საკითხი, როგორც არის კოოპერატივ „ალორძინება“ გადაიდო შემდეგი სხდომისათვის. ვერხვი.

პროვინცია

აგრარული რეფორმა ლეჩხუმის მაზრაში.

ლეჩხუმის მაზრაში მიწის რეფორმის გატარებაზე მუშაობა დაიწყო 1918 წ. მაზრაში ერთი მიმღები კომისია მუშაობდა ამ წლის განმავლობაში. ამ წელს შესდგა სამი მიღებითი აქტი, რომლითაც მიღებულია 203 დესეტინა მიწა. ამ წელშივე უამინდობის გამო შეწყდა მუშაობა ოქტომბრის შუა რიცხვებში, განახლდა 1919 წ. 26 მაისს. ამ წლის განმავლობაში რეფორმაზე მუშაობდა მხოლოდ ოთხი მიწის მზომელი. მაზრა არის დაყოფილი 7 შემდეგ სარაიონო საგრარო რაიონებათ: 1) ცაგერის, 2) ორბელ ლაილაშის, 3) ქვეშ ალპანის, 4) მექვენის, 5) ზუბ-ოყურეშის, 6) დეხვირ-ნაკურალეშის და 7) ლაშხეთ-ჩოლურ-ლენტეხის.

1) ცაგერის რაიონში მუშაობა დაიწყო 1918 წ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში. შესდგა 3 მიღებითი აქტი, რომლითაც მიღებულია 203 დესეტინა სახნავი მიწა. 1919 წელს შესდგა 14 მიღებითი აქტი. მიღებულია 463 დ. და 1124 კვ. საჟ. მიწა. 1920 წელს შესდგა 3 მიღებითი აქტი, მიღებულია 24 დ. მიწა. ამ რაიონში მოსალოდნელია 200 დ. მიწის მიღება მომავალში. რაიონში დარიგდა უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეზე 688 დ. სახნავი მიწა. ამ მიწებით დაკმაყოფილებულია 250 კომლი. გამოსასყიდი ფული ხაზინაში შეტანილია ამ რაიონიდან 553,494 მან. და 32 კაპ. მოსალოდნელია ჩამორთმეულ და ჩამოსართმევ მიწებიდან შევიდეს ხაზინაში 360,000 მან.

2) ორბელ-ლაილაშის რაიონში მუშაობა დაიწყო 1919 წელს. შესდგა 15 მიღებითი აქტი, რომლითაც მიღებულია და გადარიცხულია სახელმწიფო სადგილმამულო ფონდში 15,828 დ. მ. ამაში შედის ტყეებიც სახნავი მიწა კი არის გასანაწილებელი 797 დ. და 10 კვ. საჟ. 1920 წ. შესდგა 4 მიღებითი აქტი. მიღებულია 7 დ. სახნავი მიწა. ამ რაიონში განაწილდა 320 დ. მიწა, რითაც დაკმაყოფილდა 384 კომლი უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონენი. გამოსასყიდი ფული შევიდა ხაზინაში ამ რაიონიდან 218,717 მანეთი დასარიგებლათ გამზადებულია 455 დ. სახნავი მიწა. მოსალოდნელია გასანაწილებელ მიწებიდან შევიდეს ხაზინაში 819000 მანეთი.

3) ქვეშ-ალპანის რაიონში მუშაობა დაიწყო 1919 წ. შესდგა 14 მიღებითი აქტი. მიღებულია 324 დ. სახნავი მიწა. 1920 წ. შესდგა 6 მიღებითი აქტი, მიღებულია და გადარიცხულია სახელმწიფო სადგილმამულო ფონდში 90 დ. სახნავი მიწა. ამ რაიონიდან მოსალოდნელია, მხოლოდ 5 დ. მიწის მიღება. მიწების განაწილება დაიწყო 1920 წ. განაწილებულია ამ რაიონში 284 დეს. და 544 კვ. საჟ. სახნავი მიწა. განაწილებულ მიწების გამოსასყიდი ფული შესულია ხაზინაში 296,119 მან. და 57 კაპ. მოსალოდნელია გასანაწილებელ მიწებიდან შევიდეს ხაზინაში 180,000 მანეთი. დანაწილებულ მიწებიდან დაკმაყოფილებულია 380 უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონენი.

4) მექვენის რაიონში მუშაობა დაიწყო 1919 წ. ამ რაიონიდან მიღებულია 31 დ. სახნავი მიწა. 1920 წ. შესდგა ამ რაიონში 46 მიღებითი აქტი, რომლითაც მიღებულია 1064 დ. სახნავი მიწა და გადარიცხულია სახელმწიფო სადგილმამულო ფონდში. მოსალოდნელია ამ რაიონში მიღებით 150 დ. მიწა. განაწილებულია 21 დ. გამზადებულია გასანაწილებლად 10 დ. სახნავი მიწა განაწილებულ მიწებიდან გამოსასყიდი ფული შესულია ხაზინაში 28,953 მ. და 63 კაპ. მოსალოდნელია შევიდეს ხაზინაში გასანაწილებელ და მისაღებ მიწებიდან 380,000 მან. ამ განაწილებულ მიწებიდან დაკმაყოფილებულია 57 უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონენი.

5) ზუბ-ოყურეშის რაიონში მუშაობა დაიწყო 1919 წელს. შესდგა ამ რაიონში 4 მიღებითი აქტი, ამ აქტებით მიღებულია და გადარიცხულია სახელმწიფო სადგილმამულო ფონდში 36 დ. და 1620 კვ. საჟ. სახნავი მიწა. დარიგებულია 26 დ. მიწა. გამოსასყიდი ფული შესულია ხაზინაში 39,669 მან. დარიგებულ მიწებიდან დაკმაყოფილებულია 116 კომლი უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონენი.

(დასასრული იქნება).

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე ამ ჩემ წერილს. „ერთობის“ 283 ნომერში მოთავსებული იყო შენიშვნა „სამხედრო ჰოსპიტალის“ სათაურით, სადაც ნათქვამია პირველად, რომ მე, ჩემი დანიშვნის შემდეგ საპასუხისმგებლო ალაგები ჩავაბარე ისეთ პირებს, რომელნიც ბოროტ-მოქმედებისათვის დათხოვნილები იყვნენ სამსახურიდან, მეორე, რომ მე დავანგრიე ს. დ. იაჩეიკა, რომ ჩემი მეოხებით მოსამსახურეთა კავშირი ჰაერში გამოკიდებული დარჩა, და კულტურული მუშაობაც კი აკრძალულია. მესამე, რომ ექიმთა კავშირს ჩემთვის ერთხელ უნდობლობა გამოუცხადებია და მეორეჯერ საერთო ბოიკოტი.

პირველი განცხადება სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს: არავითარ საპასუხისმგებლო ალაგებზე მე არასოდეს არ დამინიშნავს არც ერთი პირი, რომელიც ბოროტ-მოქმედებისათვის დათხოვნილი იყო სამსახურიდან. არამც თუ ამისთანა მოვლენას ადგილი არ ჰქონია, არამედ მოსამსახურეების დანიშვნა, თუმცა-ღა ეს ხდებოდა კანონის თანახმად ჩემი განკარგულებით, ყოველთვის წარმოებდა ან კომისიის თანხმობით ან და სამეურნეო ნაწილის გამგის წარმოდგენით. აგრეთვე სრულიად უსაფუძვლოა მეორე განცხადება: არც ს. დემ. იაჩეიკა, არც მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი და არც მათი კულტურული მუშაობა არასოდეს არ მომისპია. პირიქით სამკითხველოს მე გამოუწერე ჰოსპიტლის თანხიდან დასახმარებლად 10,000 მანეთი. მეტისმეტათ დამავალებდა ს.-ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი თუ ის გამოიკვლევს, რამდენათ მართალია მე-7 რაიონის კოლლექტივის ბრალდება.

რაც შეეხება ექიმთა კავშირის მიერ უნდობლობის გამოცხადებას და ბოიკოტს, ეს საკითხი ჯერ კიდევ გასარჩევია და ამაზე ლაპარაკი წინასწარია.

მედიცინის დოქტორი ივ. ღუდაძე.

ცნობები

გვარდიელი ალექსი კოტეს ძე გირკაშვილი მსახურობდა პირველ მესანგრე ათასეულში შარშან ოქტომბერში. იყო გაგზავნილი გაგრის ფრონტზე. სრული წელიწადია მისმა მშობლებმა მისი არა იცის რა ვთხოვთ მის ამხანაგებს და ნაცნობებს. თუ ვინმემ მისი რამე იცის, შეატყობინოს შემდეგი მისამართით: თფილისის სადგური, საბარგო მოლარეს თეოფილე წულაძეს.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

ყოფ. გიმნაზიის გამგე და დამარსებელი
მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მაჩაძე ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის და ვადგენ საღამოს ჯგუფს
ოთხი კლასის მოწმობაზე
მოსამზადებლად. ჩაწერვა 9—12 საათ. 4—6 ს. პლეხანოვის ქუჩა 25 (შეს.ვალი ალექსის ქუჩ. 5). (4030—3—1)

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე პანიევი
იღებს საშვილო და ქალის სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—იანვ

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი მ. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და წითელ [illegible] ლებები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—6 [illegible] მხოლოდ დილით. [illegible] ქ. № 38. (7 იანვ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკიელისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროჟექტორ „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყირმანოვის ქ., 29, ტელეფ. 7—91 (1—იანვ).

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. გ. მჭედლიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურურება ნდისკოპით (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით, პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნახ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 15 იანვ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (7—იანვ.

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დღის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი).
(1 იანვ.)

ქ. გ. პართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (23—დეკ.)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (5 იან.)

ფოთის სახელოსნო სკოლა იწვევს
პრაქტიკულ მეცადინეობის ხელმძღვანელს
საზეინკლო-სამექანიკო განყოფილებისათვის საჭიროა დამთავრებული ჰქონდეს სატეხნიკო ან სახელოსნო სასწავლებელი ნორმალური ტიპისა და რამდენიმე წლის პრაქტიკა. სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა. პირობებისათვის უნდა მიმართონ სასწავლებლის გამგეს. (ფ. 1—1)

— იყიდება —
2 ელექტრო-მოტორი ფრანგული ტიპისა (Гиріонъ Нонси) 110 ვოლტი თითო 10 ც. ძ., 6 „კაფელნი“ ფეჩი, ძველი ქვსტი და აგური. დაწვრილებით გაიგეთ თამბაქოს ქარხანაში „მირ“, ავლაბარში, ვარდის მოედანი № 7 ან რტიშევის ქ. № 9. 4—6 ს. საღ. (4018 2—2)

საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა № 4